# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


სამშაბათი, 7 ნოემბერი. 2017 წ. №227 (8364), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


მოყვარეს პირში უძრახე

## მართლა უქმდება ლარი და შემოდის „ქუმსიკა“?

საზოგადოება დაუნახავი არ არის და ხედავს: „ქართულ ოცნებას“ და მის მთავრობას ბევრი საამაყო საქმე აქვს გაკეთებული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკისა და სოციალური კუთხით. მათ შორის, მისასალმებელია, რომ წარმოჩინდა არაერთი ახალი სახე — ახალთაობის განათლებული, ენერგიული, საზოგადოებასთან მისასვლელი პირ-სახის მქონე ჩინებული წარმომადგენლები... „ოცნება“ ამის შესახებ არ ყვირის, მაგრამ თანმიმდევრულად, დაბეჯითებით, ზოგჯერ კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც მოძრაობს წინ და ცვლის პოლიტიკურ ველს, ცდილობს, ამ ახალი სახეებით ჩაანაცვლოს მოყირჭებული „ძველები“. პრინციპში, არ არის ეს ურიგო ჩანაფიქრი, მხარდასაჭერია, ოღონდ... ზოგჯერ სამართლიანობა და სიფაქიზე აკლია. ესეც ბუნებრივი მომენტია, რომლის თავიდან აცილება ნორმალური და ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებსაც კი უჭირთ, არამცთუ...

④

## განუსხვავებელი აქცენტები კვესოდან კორკოტაძე

②

## გოლფსტრიმმა მიმართულება შეიცვალა – გამყინვარება იწყება?

⑥

## ბიზნესისთვის ფინანსური წნეხი თუ ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა

③



⑦

## ხელოვანი, რომელიც მუდამ თანამედროვეა

### ჯანსუღ ჩარკვიანის დამკრძალავი კომისიისაგან



სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 7 და 8 ნოემბერს განსვენებულის ბინაში (თბილისი, კ.გამსახურდიას გამზ. 2, ბინა 5 (ყოფილი პეკინის 2) 16 საათზე.

გამოსვენება 9 ნოემბერს, სამების საკათედრო ტაძრიდან, 14 საათზე.

დაკრძალვა მთაწმინდის მწერალთა პანთეონში.

## მუდამ იცოცხლებს თავის ლექსთან ერთად!..

### ჯანსუღ ჩარკვიანის გარდაცვალების გამო



საქართველო რომ პოეტების ქვეყანაა, ეს არც შინაურთათვის და არც გარეულთათვის, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ, როცა დიდი პოეტი დიდი ადამიანიც არის, რომელსაც მთელი თავისი ლამაზი ცხოვრება, ბევრისგან განსხვავებით, ქვეყნისა და ხალხის უანგარო მსახურების და სიყვარულის უღელი ედგა, ალბათ, თითებზე ჩამოსათვლელია.

აი, სწორედ ასეთი, თითებზე ჩამოსათვლელ პოეტთა შორის, ერთ-ერთია ჭეშმარიტად გამორჩეული პოეტი და ადამიანი, აწ ამ წუთისოფლიდან ხორციელად იმ გრძელ, მარადიულ ქვეყანაში გადასახლებული, ჩვენი **ჯანსუღი**, ჩვენი **ჯანსუღ ჩარკვიანი**, ვისაც სჯეროდა, რომ თავისუფლება ლომთა ხვედრია და ვისაც არცროდის დაზარებია, ისევ ბევრისგან განსხვავებით, რომ მწყურვალისთვის მიეტანა წყალი, მევალისთვის — ვალი, გზააბნეულისთვის ესწავლებინა გზები, შეეწამლა შეუწამლავი ზვრები, მოეძებნა სხვაგან დამარხული ძმები და, როგორც ჭეშმარიტად ქართველი ხალხის პოეტმა, მოიპოვა იმის თქმის უფლება, რომ ქვეყნად სიცოცხლე ღირდა და თავის მამულში დაემარხა ძვლები... და აკი თავადვე ამბობდა, — მერე წამოვალ, წამოვალ, საცა გინდაო.

და წავიდა, ოღონდ ფიზიკურად, სულიერად მარადის თავის სამშობლოში რჩება როგორც საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მუდმივი სათქმელის გამხმიანებელი, გამორჩეული შვილი და პოეტი.

ძვირფასო ჯანსუღ, შენს უებარ წამალივით მუდამ საჭირო პოეზიასთან ერთად, როგორც აქამდე, კვლავაც ცოცხალთა შორის განაგრძობ ყოფნას, არყოფნას შენთან რა ხელი აქვს!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

## ლამაზი სიკვდილი

როცა დაიწყებს წყარო საუბარს,
მზეს რომ მისწვდება ირმის ბღავილი,
შემოასკდება როცა ალუბალს
მუხლზე კაბა და გულზე ყვავილი.

როცა კვირტები აფეთქდებიან,
როცა სიმღერას იტყვი სასურველს,
როცა ირმები დაფეთდებიან,
მზეს შეხედავენ რქებში ჩაწურვილს.

როცა მერცხალი ზეცას შეუტევს,
როცა მიწაზე მზე და დარი დგას,
ირემი აპრილს კარებს შეუმტვრევს
და ატმის რტოებს რქებად დაიდგამს.

როცა მზე მინდვრებს კალთებს დაუცლის
საგვირილოდ და საენძელოდა,
ირემი ირემს ბალახს გაუწვდის
და რქას მიურტყამს სადღეგრძელოდა.

როცა მეწნები ატირდებიან
და აკოცებენ ვაზებს ხარდნები,
შევხედავ ზეცას ნატვრისთვლებიანს,
ავტირდები და ავხარხარდები.

მოიგონებენ წარსულს მკვიდრები,
აბუბუნდება ქვეყნად ყველა მთა,
გავდიადდები, გავსულდიდდები
და ავენთები მამულს კელაპტრად.

დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,
ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

# პარლამენტის ბიურომ პლენარული სხდომების დღის წესრიგი განიხილა



**პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ კოლეგებს მომავალ სასესიო კვირაში განსახილველი და კენჭსაყრელი საკითხები გააცნო.**

ბიუროს წევრები გაეცნენ ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს და თითოეულ მათგანზე განისაზღვრა წამყვანი და სავალდებულო კომიტეტები. იმსჯელეს საორგანიზაციო საკითხებზეც. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი კოვზანაძემ კოლეგებს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშის განხილვის განრიგი გააცნო, რომლის მიხედვითაც კომიტეტები საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ კვარტალურ ანგარიშს განიხილავენ.

# ოპერაციის ფასებს სახელმწიფო დაადგენს

**პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის აკაკი ზოიძის განცხადებით, საპილოტე რეჟიმში ელექტრონული რეცეპტების ჩართულობა არ იყო იმ ხარისხის, რაც იყო სასურველი, ამიტომაც, მიდის საუბარი, რომ ელექტრონული რეცეპტები გახდეს სავალდებულო.**

როგორც მან TV პირველის ეთერში განმარტა, ეს სახელმწიფოს საშუალებას მისცემს მოაწესრიგოს რეცეპტების საკითხი, რადგან საიდუმლო არავისთვისაა, რომ კვლავ ხდება რეცეპტების გარეშე მედიკამენტების გაცემა.

**„საიდუმლო არავისთვისაა, რომ კვლავ ხდება რეცეპტების გარეშე მედიკამენტების გაცემა. ელექტრონული რეცეპტების შემთხვევაში რეაგირებაც უფრო ადვილი იქნება იმაზეც, სჭირდება პაციენტს ყველა ის წამალი**



**რაც ექიმმა დაუნიშნა თუ არა, რადგან ზედმეტი წამალი პაციენტის ფინანსური მხარის გარდა ხშირად ჯანმრთელობასაც ვნებს“,** — განაცხადა აკაკი ზოიძემ.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული კლინიკებისთვის ოპერაციების ფასების დადგენის შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, რის საფუძველზე ისაზღვრება ოპერაციის საბაზრო ფასი, დაუდგენელია, რადგან ხშირად, თავად კლინიკებსაც არ აქვთ სრულყოფილი ხარჯთაღრიცხვა და გადაცდომა 25, 30 ან მეტი პროცენტია ხოლმე.

**„ეს მსოფლიოში დანერგილი პრაქტიკაა. კლინიკის პროფილის მიხედვით განისაზღვრება რესურსტევადობა, პერსონალის დრო, სამედიცინო მასალები, სამეურნეო თუ სხვა ხარჯი, რის საფუძველზეც მიენიჭებათ ქულები. 3 წელიწადში ერთხელ სადაზღვეო ფონდები, ექიმები და ფარმაცევტული კომპანიები დაადგენენ, თითო ქულა რამდენი ლარია. სწორედ ამის მიხედვით განისაზღვრება ფასები“,** — განმარტა ზოიძემ და დასძინა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ექიმების ხელფასის ზრდას, რათა მათ, დაბალი ანაზღაურების გამო, ერთდროულად ბევრ სხვადასხვა კლინიკაში არ მოუწიოთ მუშაობა.

# სასამართლომ ლელა ქიტესაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა



**თბილისის საქალაქო სასამართლომ ლელა ქიტესაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა და თიანეთში მერის არჩევნების შედეგები ძალაში დატოვა.**

ქიტესაშვილი არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას და თიანეთში მერის არჩევნების მეორე ტურის დანიშვნას ითხოვდა. ქიტესაშვილი საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს.

# ნინო გვენეტაძისგან ახსნა-განმარტებებს ითხოვენ

**იუსტიციის საბჭოს წევრები ნინო გვენეტაძისგან ახსნა-განმარტებებს ითხოვენ. იუსტიციის საბჭოში ხმაურიანი სხდომა მიმიდნარეობდა, სადაც უვადოდ დანიშნული მოსამართლეების საკითხს განიხილავენ.** გაირკვა, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ნინო გვენეტაძეს რამდენიმე სხდომის წინ უვადოდ დანიშნული მოსამართლეების შესაბამისი ბრძანებისთვის ხელი ჯერ კიდევ არ მოუწერია. რასაც სხდომაზე სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. უზენაესი საბჭოს წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ ის ბულინგის მსხვერპლია.



# ნინო გვენეტაძე: მე ვარ ძალადობის მსხვერპლი

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე აცხადებს, რომ ძალადობის მსხვერპლია. მისი თქმით, იუსტიციის საბჭოს წევრები ცდილობენ გააგრძელონ ხელების გადაგრეხვის პოლიტიკა და საბჭოს თავმჯდომარეს მიაღებინონ მისი ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. ამის შესახებ გვენეტაძემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განაცხადა.**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა გუშინ მთელი დღის განმავლობაში ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. საბჭოს წევრები გვენეტაძეს უვადოდ არჩეული 34 მოსამართლის დანიშვნის გადაწყვეტილებაზე დაუპირისპირდნენ, შემდეგ კი დამატებითი სხდომის ჩანიშვნის საკითხზე შეკამათდნენ. ნინო გვენეტაძემ განაცხადა, რომ მას მსგავს რეჟიმში მუშაობის გაგრძელება აღარ შეუძლია და მის პოზიციებს წერილობით აცნობს საბჭოს წევრებს.

**„მთავარი“ პანდორას ყუთი**

# განუსხვავებელი აქცენტები კვესიდან კორკოტამდე



ოცდახუთი წელია, ჟურნალისტიკაში ვარ. ამის მეტი არაფერი ვიციო, — განუცხადა **ეკა კვესიტაძეს** „ყველაზე მომზადებულმა“ მისმა მეგობარმა **დავით პაიჭაძემ**.

მე კი იმედი მქონდა, რომ რაღაც სხვა რამ მაინც ეცოდინებოდა. წინათ, უფრო პროკურორის თვისებებს ამჟღავნებდა. გუშინწინდელ გადაცემაშიც ჰქონდა ამის მცდელობა, მაგრამ **მაკა რაზმაძემ** დაკითხვის გაგრძელების საშუალება არ მისცა.

წესით, გული უნდა ამჩუყებოდა, მაგრამ შეცოდების გრძნობა მისმა უსაზღვრო თვითკმაყოფილებამ და ამბიციურმა ტონმა გამიქრო!

**გია კორკოტაშვილი რომ ეთერში მივიწვიო და თხუთმეტი წლის შემდეგ ეს წამომაძახონ, შემრცხვება, ამიტომაც არ მივიწვევო(?!)** — ესეც პაიჭაძის ბაგეთაგან ითქვა.

ვინ ამბობდა ამას?!

ვინ და „ჟურნალისტი“, რომელმაც ათი წლის წინათ „იმედის“ დარბევა გაამართლა(?!) გაზეთ „24 საათში“ გაამართლა.

აღნიშნულმა გაზეთმა ჩემი საპასუხო სტატიის დაბეჭვდა ვერ გაბედა — ცხადია, მიშას შიშით.

„რეზონანსის“ რედაქტორი **ლაშა ტუღუშიც** ფეხს ითრევდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაბეჭდა, ოღონდ პაიჭაძეს წინასწარ წააკითხა და მინაწერი დაურთო („სამწუხაროდ, ბატონმა დავით პაიჭაძემ კომენტარის გაკეთება არ ისურვა“) — იმდენად ეშინოდათ მისი, ანუ მიშასი.

ეს ის დრო იყო, როცა პაიჭაძეს ვამბობდით და სააკაშვილს ვგულისხმობდით, ანდა პირიქით...

გია კორკოტაშვილი, მასთან შედარებით, იმდენად უცოდველია, რომ ღირსების ორდენით უნდა დააჯილდოვო, თვითონ ეს ორდენიც პაიჭაძესავით გაუფასურებული რომ არ იყოს.

ამასობაში, ალბათ, კვესიტაძის (რა ზედგამოჭრილი გვარია?!) გადაცემის თემაც გამოიცანით: „უნდა დაუთმონ თუ არა ეთერი ტელეარხებმა კორკოტასა და მისნაირებს?“

კვესიტაძეს, თვითგამოცხადებული „ქვეყნის მთავარი არხისა“ და „დემოკრატიის უკანასკნელი ბასტიონის“ წარმომადგენელ ჟურნალისტს, წინასწარვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი: არ დაუთმობს!

სტუმრებიც „თავის სასარგებლოდ“ ჰყავდა შერჩეული. უმეტესობა აუცილებლად დაეთანხმებოდა. თუ რომელიმე განსხვავებულ აზრს გამოთქვამდა, თანამოაზრეებს მიუსევდა — პაიჭაძესა და **ნინიას** (რა თქმა უნდა, **კაკაბაძეს!**).



მაგრამ მაკა რაზმაძე ასე იოლად შესაშინებელი არ აღმოჩნდა.

ანდა, რატომ უნდა ჰგონებოდა ასეთი?!

აქ თვით კვესიტაძეც კი აშკარად ჩაიჭრა.

ის კი არა, იმედი **იაგო ხვიჩიამაც** არ გაუმართლა. შეარცხვინა კიდეც: პირდაპირ განუცხადა, თქვენთვის მიუღებელი ადამიანები კი არ უნდა დაბლოკოთ, აუცილებლად უნდა მიიწვიოთ და მომზადებული უნდა დახვდეთო.

ეს რა და უკვე მერამდენედ აკადრეს დემოკრატიის მებაირახტრე კვესიტაძეს?!

ისე, როგორიაა: გადაცემას „განსხვავებული აქცენტები“ ჰქვია და განხვავებული პოზიციის ადამიანებს აღარ მიიწვევენ(?!).

მაგრამ კვესიტაძე მთლად ასე მოუმზადებელიც ნუ გეგონებათ! ისეთი არგუმენტი აქვს, რომ ქვას გახეთქავს: თურმე, ისინი, ვისაც აღარ მიიწვევს, განსხვავებული ორიენტაციის ადამიანთა დისკრიმინაციას ეწევიან.

ვინ ამბობს ამას? — ვინ და წარმომადგენელი იმ ტელეარხისა, რომლის გენერალური დირექტორიც უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს და პირდაპირ ეთერში ემუქრება მთავრობას, მოსამართლეებს, პარლამენტარებს...

კვესიტაძის კიდევ ერთი არგუმენტი: კორკოტაშვილი ისეთ სიტყვებს ხმარობს, რომ ეთერში ვერაფრით გაიმეორებს.

რომელ ეთერში? — იქ, სადაც ქალებიც კი იგინებიან (იხ. სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“)?!

* * *

რაც შეეხება კორკოტას ანუ გია კორკოტაშვილს, მისი ქცევა თავადაც არ მომწონს, რაც სოციალურ ქსელშიც აღვნიშნე.

**„ბატონო იოსებ, თუ შეიძლება, გკითხავთ, — კორკოტაშვილის მხოლოდ ქცევაა თქვენთვის მიუღებელი თუ ფასეულობებიც?“** — მომწერა იქვე ჩემთვის უცნობმა ქალბატონმა **ქეთი ნიკოლეიშვილმა**.

ალბათ, ჰგონია, რომ ჩამჭრელი კითხვა დამისვა.

სხვათა შორის, ზემოხსენებულ გადაცემაში მაკა რაზმაძე ყველაზე ღირსეულად გამოჩნდა, მაგრამ ერთი რამის ხაზგასმა მისგანაც დამაკლდა. კვესიტაძისა და პაიჭაძის დემაგოგიას მკაფიოდ გამოხატული პოზიცია უნდა დავუპირისპიროთ: დაუშვებელია ლგბტ -ელთა დევნა და დისკრიმინაცია, მაგრამ ასევე დაუშვებელია მათი პროპაგანდა! ავადმყოფს ვმკურნალობთ, მაგრამ არასოდეს ვამბობთ, რომ ავადმყოფობა კარგია. აქაც ზუსტად ანალოგიური ვითარებაა.

კარგი იქნება, თუ ვინმე ამას კორკოტაშვილსაც გააგებინებს.

„თუ კორკოტაშვილის ფასეულობები თქვენთვის მიუღებელია, მაშინ რას უპირისპირებთ?“ — ესეც იმ ფეისბუქელი ქალბატონის შეკითხვაა.

იმედია, მიხვდით, ქალბატონო ქეთ...

კვესიტაძე, პაიჭაძე და ნაცების პოლიტსაბჭოს რძალი ნინია რომ რაიმეს მიხვდებიან, ამის იმედი კარგა ხანია, გადამეწურა...

**იოსებ ჭუმბურიძე**

**P. S. ქალბატონმა მარინა ლათიბაშვილმა ფეისბუქში მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნა, სამაგიეროდ, პაიჭაძე დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელში პოლიტიკური მიმართულების მთავარი პროდიუსერიაო, რაც არაერთმა გააპროტესტა. საინტერესოა, ვასილ მაღლაფერიძემ დააწინაურა? მაშინ ისევ ცუდად ყოფილა საქმე საზმაუში! რაღაც ძალიან დალპა დანიის (ქართული მედიის) სამეფოში!..**

**ი. ჭ.**



# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

## ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია-2017




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ და ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ფონდმა 2017 წლის 2-3 ნოემბერს გამართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 75 წლისთავისადმი, აკადემიის პრეზიდენტის – აკად. გიორგი კვესიტაძის 75 წლისთავისადმი და მეცნიერების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა ინტერდისციპლინური კონფერენცია შემდეგი მიმართულებებით:

**ჰუმანიტარული მეცნიერებები;**
**სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებები;**
**ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;**
**ინჟინერია და ტექნოლოგია;**
**მედიცინა და ჯანდაცვა;**
**აგრარული მეცნიერებები.**

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. კონფერენციის მიზანი ახალგაზრდა მეცნიერთა კოორდინაცია, კონტაქტების დამყარება და დარგობრივი სამეცნიერო მოსაზრებების გაზიარება იყო.

კონფერენციას საკმაოდ მაღალი გამოხმაურება ჰქონდა. საორგანიზაციო კომიტეტმა მხოლოდ საუკეთესო თეზისები შეარჩია.

საბოლოოდ ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 36 მომხსენებელმა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან:

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;**
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;**
**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი;**
**საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;**
**საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;**
**საქართველოს ეკონომიკური უნივერსიტეტი;**
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;**

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონფერენციაში დოქტორებთან, დოქტორანტებთან, მაგისტრებთან და მაგისტრანტებთან ერთად მონაწილეობდნენ ბაკალავრიატის საფეხურის საუკეთესო სტუდენტებიც.

აღნიშნულმა კონფერენციამ სრულად უპასუხა თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნებს, როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეზე და იყო სამეცნიერო საზოგადოებაში ახალგაზრდების პრიორიტეტულობის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობა.

## საერთაშორისო დღეს მიეძღვნა

**მიმდინარე წლის 1 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების, ქიმიის დარგობრივი კომისიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდა ქიმიკოსთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მეცნიერების საერთაშორისო დღეს.**

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო თსუ-ს ქიმიის დეპარტამენტის ბაკალავრებმა, მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა, სულ 30-მა კაცმა. მათ წარმოადგინეს 2016-2017 სასწავლო წელს შესრულებული საუკეთესო ნაშრომები. კონფერენცია გახსნა და აკადემიის ხელმძღვანელობის სახელით კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ირაკლი ჟორდანია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს და სტუდენტების ნამუშევრები შეაჯამეს აკადემიკოსმა გ. ცინცაძემ, აკადემიკოსმა შ. სამსონიამ, პროფესორმა გ. ბეზარაშვილმა, პროფესორმა მ. რუხაძემ და სხვებმა.

მოხსენებები გაკეთდა სილიკაგელის ზედაპირზე დამაგრებული ქირალური სელექტორების, კორშელის ტიპის სვეტების, პოლისაქარიდული ბუნების ქირალური სელექტორების გამოყენებით ქირალური სულფოქსიდების ენანტიომერების დაყოფის კანონზომიერების კვლევა მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში; ქრომატოგრაფიული ანალიზის საფუძველზე განხორციელებულია ენანტიომერული ნარევების დაყოფის თერმოდინამიკური პარამეტრების დათვლა; გამოყენებული იქნა ახალი პოლისაქარიდული ქირალური სელექტორები; მოწოდებულია ფუძე და მჟავა ბუნების ნივთიერებათა დაყოფის მეთოდები; განხორციელებულია ქირალური აგროქიმიური ნაერთების სტერეოიზომერების დაყოფა; შესწავლილია ენანტიომერების რიგის შებრუნება ელუენტის, სვეტის და ტემპერატურის ცვლილებებისას სითხურ ქრომატოგრაფიაში და სხვ.

შესწავლილი იქნა შებრუნებული მიკროემულსიური სისტემების ელექტროგამტარობა; განხორციელებულია ახალი პოტენციური დნმ-ის ინტერკალატორის – 1-აცეტილ-1H,5H-2,3-დიჰიდროპიროლო (2’,3’:5,6)-ინდოლო(2,3-b)ქინოქსალინის სინთეზი და კვლევა, ფიშერის ფუძის ახალი ბისანალოგების სინთეზი და შემდგომი გარდაქმნა, (4-ქლორ-თიაზოლ-2-ილ)ნაფთილამინის სინთეზი, N-გლიკოზილ-ამინების წარმოებულების სინთეზი და კვლევა, სინთეზირებულია ბენზიმიდაზოლის ზოგიერთი ახალი წარმოებულები, მიღებულია F 18-ით მარკირებული ბიომარკერები და ნაჩვენებია მათი გამოყენება მედიცინაში.

კონფერენციის მონაწილეებს საორგანიზაციო კომიტეტის სახელით გადაეცათ სერტიფიკატები.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრესსამსახური**

◎ დაგროვებითი საპენსიო სისტემა

# ბიზნესისთვის ფინანსური წნეხი თუ ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა

**დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედებით ბიზნესი ეკონომიკის განვითარებას პროგნოზირებს. როგორც ცნობილია, 2018 წლის ბოლოდან ქვეყანაში დაგროვებითი პენსიის სისტემა უნდა ამოქმედდეს.**

„კომერსანტი“ დაინტერესდა, ხომ არ არის აღნიშნული სისტემა ბიზნესისთვის ფინანსური წნეხი, ხოლო საპენსიო ფონდის მართვისთვის შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა ზედმეტი ადმინისტრაციული ხარჯი?

ბიზნესმენი, „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ირაკლი იაშვილი** აცხადებს, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა ბიზნესისთვის ტვირთი არ იქნება, შედეგად, ქვეყანაში საინვესტიციო რეზერვი გაჩნდება.

როგორც იაშვილი აცხადებს, საქართველოში ფაქტობრივად, არ არსებობს შიდა საინვესტიციო რეზერვი. ამიტომ, ქვეყანა ძირითადად, შიდა ინვესტიციებზეა დამოკიდებული.

**„ეს ლათინო-ამერიკული მოდელია. ჩილეს განვითარება სწორედ საპენსიო ფონდებს უკავშირდება. მთავარია, სწორად იყოს დაგეგმილი, სწორი მოდელი იყოს შერჩეული და ჩვენი ქვეყნისთვის იყოს ადაპტირებული. პირდაპირ კოპირებაც სწორი არ იქნება. იდეაში, საპენსიოო ფონდის გაჩენა, რომელიც მოახდეს საინვესტიციო რესურსების აკუმულირებას, სწორი გადაწყვეტილებაა. ფულის ეს მასა სადღაც ხომ უნდა დაბანდდეს? ის ორი პროცენტი, რომელიც ჩვენ უნდა გავიღოთ, არის გაცილებით მცირე, ვიდრე ის სარგებელი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკამ უნდა მიიღოს საპენსიო ფონდში აკუმულირებული სახსრების შედეგად“** – აცხადებს იაშვილი.



კითხვაზე, ხომ არ ჯობდა, შექმნილიყო კერძო საპენსიო ფონდი, იაშვილი პასუხობს, რომ ათეული წლების წინ ქვეყანაში კერძო საპენსიო ფონდი შეიქმნა და ვერ იმუშავა. მისი განცხადებით, საქართველოში ნებაყოფლობით პენსიის დაგროვების კულტურა არ არსებობს, ამიტომ აუცილებელია ის სავალდებულო იყოს.

**„თუ თავისუფალი სახსრები გვიჩნდება, გავრბივართ და მანქანებს ვყიდულობთ. სახელმწიფო ამიტომ დგამს ამ ნაბიჯს. არ ვიცი სქემა, როგორ აპირებენ, თუმცა, ვიცი, რომ პრემიერ-მინისტრს ეს იდეა დიდი ხანია, აქვს. ამ პროექტის წარმატებულად განხორციელება, ეკონომიკისთვის დიდი სტიმული იქნება. მინდა ამ საქმეში წარმატება ვუსურვო“,** – აცხადებს იაშვილი.

საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს-ასოციაციის პრეზიდენტის, **ივა ჭყონიას** განცხადებით, სქემის ამოქმედება დროულია, თუმცა, კარგი იქნებოდა, თუ ის ბიზნესსექტორთან უფრო მჭიდრო კომუნიკაციის შემდეგ ამოქმედდებოდა.

მისი განცხადებით, აღნიშნული სქემის ფარგლებში ბიზნესს 2 პროცენტის ნაცვლად 4 პროცენტის გადახდა მოუწევს. **„ძალიან რთულია დასაქმებულ ადამიანს გააგებინო, რომ როდესაც აქვს მაგალითად, 1000 ლარი ხელფასი, მან თავისი ხელფასიდან 2 პროცენტი უნდა გადაიხადოს. საბოლოო ჯამში, ამის გადახდა დამსაქმებელს მოუწევს. ეს ჩემი ხედვაა, როდესაც ადამიანი სამსახურში აჰყავთ და ხელფასზეა საუბარი, დასაქმებულებს აინტერესებთ ხელზე ასაღები თანხა და არა ის, თუ რა არის მასზე დარიცხული“** – აცხადებს ჭყონია.

მისი განცხადებით, ეს ერთ-ერთი ნეგატიური მხარეა. როგორც ჭყონია განმარტავს, ეს 4 პროცენტი მცირე თანხა არ იქნება. მისთვის საინტერესოა, წლების შემდეგ რამდენად მსყიდველობითუნარიანი იქნება საპენსიო ფონდში დაგროვებული ფინანსური სახსრები.

კითხვაზე, ხომ არ გააჩენს ეს სისტემა არაფორმალური დასაქმების რისკს, ჭყონია განმარტავს, რომ 4 პროცენტი არ არის იმ მოცულობის თანხა, რომ არაფორმალური დასაქმების რისკი გააჩინოს.

როგორც ცნობილია, **დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედება და კონტრიბუციების მიღება 2018 წლის მესამე კვარტლიდან არის დაგეგმილი. როგორც ცნობილია დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვა სავალდებულო იქნება 40 წლამდე დასაქმებული ადამიანებისთვის, ხოლო ნებაყოფლობითი იქნება მათთვის, ვისაც კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 40 წელი. რაც შეეხება თვითდასაქმებულებს, ისინი ნებაყოფლობით გაწევრიანდებიან სისტემაში, მათი ასაკის მიუხედავად. ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით საპენსიო აქტივების ინვესტირება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დაცვით ხდება.**

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით თითოეული დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო კანონით სქემის მონაწილე ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განახორციელებს შენატანს თითოეული დასაქმებულის ხელფასის დაუბეგრავი მოცულობის 2%-ის ოდენობით. რაც შეეხება თვითდასაქმებულ პირებს, ისინი განახორციელებენ შენატანს თავისი შემოსავლის 4%-ის ოდენობით, სახელმწიფო კი როგორც დასაქმებულების, ასევე თვითდასაქმებულების სასარგებლოდ მათ დამატებით გადაურიცხავს დასაბეგრი შემოსავლის 2%-ს.

**შეგახსენებთ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონს პარლამენტი სავარაუდოდ, წლის ბოლომდე განიხილავს.**

**სოფო ქსოვრელი**

## ლევან დავითაშვილი ისრაელს ეწვევა

**სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ისრაელის სახელმწიფოს ელჩს საქართველოში შაბთაი ცურის შეხვდა. შეხვედრის მიზანი ლევან დავითაშვილის ისრაელის სახელმწიფოში კოლეგასთან – ური არიელთან ვიზიტის საორგანიზაციო საკითხების განხილვა იყო. ვიზიტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მინისტრი ებრაელ კოლეგასთან განიხილავს ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის შესაძლებლობების საკითხებს. ასევე, დაგეგმილია სამელიორაციო სისტემების, სასათბურე მეურნეობების ტექნიკური განვითარების მიმართულების გაცნობა და გამოცდილების გაზიარება.**



**არასოდეს დამიმალავს ჩემი პირადი სიმპათია პრემიერ კვირიკაშვილისადმი. ობიექტურთან ერთად სუბიექტური ფაქტორიც არსებობს, დედამისთან დაკავშირებული, რომელიც ყველა ღირსებით შემკული ქალბატონი, ჩვენი სტუდენტობის დროინდელი კოლეგა-ფილოლოგი გახლდათ. მაგრამ...**

**საერთოდ, რეალობაში ზოგჯერ დგება მომენტი, როცა, პრინციპებიდან გამომდინარე, თავს აიძულებ, გადადგა ნაბიჯი ან გამოთქვა მოსაზრება, რომელიც შესაძლოა, შენი პირადი კეთილგანწყობის ობიექტის „ალტაცება“ არ გამოიწვიოს, მაგრამ აშკარად წაადგება საზოგადო-საქვეყნო საქმეს, რომელსაც, როგორც ვიცით, თავადაც გულწრფელად და თავდადებით ემსახურება.. ამჯერად, სწორედ ასეთი შემთხვევაა.**

**ბუნებრივია ისიც, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ბევრ მაღალჩინოსანს (მათ შორის, პრემიერსაც) ხელი რომ არ მიუწვდება მედიის მრავალფეროვან და თითქმის ულევ ინფორმაციაზე. სწორედ იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ხელმძღვანელთა დროულ და საფუძვლიან ინფორმირებას, როგორც აუცილებელ პირობას ქვეყნის ეფექტიანი მართვისთვის, არსებობს თანაშემწეთა, მრჩეველთა, პრესამსახურების თანამშრომელთა ინსტიტუტი. მონდომებული და გონივრული დაკომპლექტების მიუხედავად, პროფესიული ფაქტორი, მაინც ვერ (არ) არის დაზღვეული ხარვეზებიდან. თუნდაც, უბრალო ადამიანური მომენტებიდან გამომდინარე, კარიერისკენ ლტოლვის, პიროვნული სისუსტეების, პროტექციონიზმისა და ნეპოტიზმის გამოვლინებისგან... ამიტომაც, ხელმძღვანელის საზოგადოებრივ-სახელმწიფო სტატუსის გამო ხელქვეითებს არცთუ იშვიათად უჭირთ უშუალო „ბოსს“, ამ შემთხვევაში პირადად პრემიერს (კონკრეტულად) მიაწოდონ ის ინფორმაცია, რომელიც დაკავებულობა-გადატვირთულობის ან სხვა(!) სუბიექტურ მიზეზთა გამო, შესაძლოა, მასთან სრულყოფილი და ობიექტური სახით ვერ (არ) აღწევდეს.**

**აი, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული როლი ენიჭება მედიას, როგორც ხელისუფლების სამივე შტოსადმი ერთ მხრივ მოდარაჯე, ხოლო მეორე მხრივ — „დაპირისპირებულ“ ნაგაზს, რომელსაც ბრძენი(!) „პატრონი ქვეყნისა“ არ აკლებს ზრუნვა-ყურადღებას, რათა მან ორივე ფუნქცია ჯეროვნად შეასრულოს.**

# მართლა უქმდება ლარი და შემოდის „ქუმსიკა“?

ეს ბანალური შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ არამცთუ ჰარვარდსა და კემბრიჯში, იტონსა და ჯორტაუნში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეულ პრესტიჟულ თუ არაპრესტიჟულ უნივერსიტეტებში (რომელთა „დიპლომებით“ ჩვენი ე.წ. ელიტა ყელყელაობს), არამედ, როგორც ჩანს, ჩვენს მშობლიურ კომაროვის საშუალო სკოლაშიც კი, რომელიც დღევანდელი მთავრობის „კადრების სამჭედლო“ აღმოჩნდა, ჯეროვნად არ ისწავლება საჯარო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობა, მისი პრობლემატიკა, ფორმები და მეთოდები. ეს რომ ასეა, ის ფაქტი მეტყველებს, რომ ჩვენი მთავრობის და მისი სტრუქტურების უმრავლესობა დაკომპლექტებული კია ინგლისურ-ფრანციცულ-ნემენცური ენა-დიპლომის მქონე კუდაბზიკა კადრებით, მაგრამ ამ მხრივ საქმე „დანიის სამეფოში“ მაინც ვერ მიდის რიგიანად.

ეს ხუმრობით (იუმორი გადაგვარჩენს), სერიოზულად კი დასამალი არ არის პრობლემა: მთავრობა, მმართველი ძალა საზოგადოების განწყობის პულსს ვერ(არ) გრძნობს! ანუ, „მოდარაჯე ნაგაზი“ ქვეყნის „პატრონთა“ მხრიდან მისი ორმაგი ფუნქციის არასწორი გაგებისა, დაუნახაობის და ჯეროვანი დაუფასებლობის გამო, მხოლოდ ავად მაყეფარი ნაგაზის შთაბეჭდილებას ტოვებს, არადა, „მოდარაჯეობა“, პატრონისთვის შეძახილი და ავის მოახლოების გაფრთხილება მისი გენეტიკური კოდია.

წესით, ეს უნდა ესმოდეს და იცოდეს ჩვენმა მთავრობამ, უფრო მეტიც, იგივე წესით, ეს მას უნდა აწუხებდეს. და ალბათ, ეს ასეა. ოღონდ, ამ გაგებას, ამ წუხილს საზოგადოება, მედია, სამწუხაროდ, ვერ ამჩნევს. არა იმიტომ რომ ბრმა და ყრუა (პირიქით, ბოლო წინასაარჩევნო კამპანიამ ეს დაადასტურა), არამედ იმიტომ, რომ ვისაც ქვეყნის სატკივარზე მუშაობის სამთავრობო პრაქტიკის და მისი შედეგების მოსახლეობამდე „მიტანა“ ევალება, ან სუსტია, ან ნაკლებმცოდნე, ან ზარმაცი, ან პრიმიტივი (არჩევანი მასზეა).

ეს არის და ეს, ამიტომ, ეგებ, უკეთესიც იყოს შეძახილი, რომელიც კიდევ უფრო დაარწმუნებს ამ პუბლიკაციის ადრესატს პრობლემის რეალობაში.

პრობლემა კი არის საზოგადოების განწყობა, საზოგადოების დამოკიდებულება მთავრობის და უშუალოდ მისი, როგორც ამ ხელმძღვანელისადმი. ეს აქტუალური თემაა, ისევე როგორც სისტემატური კვლევის საგანი. არ ვიცი, რამდენად ხშირად და რა მოცულობით იკვლევენ საზოგადოებრივ აზრს, რა შედეგებს აცნობენ მას, როგორია რეაგირება...

**იმათთვის, ვინც პროფესიულად ადევნებს თვალს ამ პროცესებს, სწავლობს მედიას, მათ შორის სოციალურ ქსელებს, ნათელია, რომ ამ სივრცეში მთავრობის რეიტინგი აღარ ან ვერ არის ისეთი, რომ მას სატრაბახოდ ჰქონდეს საქმე. და ვერავითარი მინიშნება ადგილობრივი არჩევნების დამაკმაყოფილებელ შედეგებზე, ვერ გამოდგება საპირისპირო აზრის არგუმენტად, რამეთუ ბევრი, ძალიან ბევრი ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან ოპოზიციური სპექტრის აგრესიული საარჩევნო კამპანიის საპასუხოდ, ანუ, „კოლექტიური ნაცების“ საწინააღმდეგო განწყობამ მიიყვანა და არა აღტაცებამ „ქართული ოცნების“ და მისი მთავრობის საქმიანობისადმი.**





ერთი სიტყვით, ამ ბოლოდროინდელ ფაქტებს (თუნდაც, თიანეთის საარჩევნო კონფლიქტში მმართველი პარტიის ერთ-ერთი სახის ქუცნაშვილის იდიოტური პიარ-ჩარევა, ანდა, მარნეულში „სისხლიანი“ ინციდენტი“...) თუ გავითვალისწინებთ, ვერც მმართველ პარტიაში და ვერც სამთავრობო სტრუქტურებში ვერ არის რიგიანად დალაგებული ეს სფერო: ხშირად მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა!

კახი კალაძის საარჩევნო კამპანია, ამ მხრივ კი იყო სასიამოვნო გამონაკლისი, მაგრამ... გამარჯვების შემდგომმა ზოგიერთმა აქციამ (თუნდაც მომავალი მერის მიწისქვეშა ტრანსპორტით მგზავრობის დადგმულმა სცენებმა, განსაკუთრებით კი მეტროს ვაგონში „უპატრონოდ მიტოვებული“ პოპულარული ფეხბურთელი-მერი-მინისტრის ტელეფონში ჩაღრმავება) ღიმილის მომგვრელი შთაბეჭდილება დატოვა.

თუმცა, სხვათაშორის, ამ სფეროში დადებითი ცვლილებების იმედის ნაპერწკალი მაინც გააჩინა ერთმა საინტერესო, მისასალმებელმა მომენტმა, რომელიც, იმედია, წინასაარჩევნო „ტრიუკად“ არ დარჩება:

**ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, კალაძემ განაცხადა, რომ მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია(!!!) საზოგადოებასთან მერიის ურთიერთობის არსებული სტილი და მეთოდები.**

ეს მაშინ, როცა თბილისის მერიის ურთიერთობა საზოგადოებასთან არაერთგზის გამხდარა მწვავე კრიტიკის ობიექტი. მერიას სირაქლემას პოზიცია ეკავა და არ იმჩნევდა არამცთუ „წკიპურტებს“, არამედ სერიოზულ „დარტყმებსაც“ კი. მავანი სუბიექტურ მიდგომასაც გვწამებდა. ჰოდა, აგერ, მოხდა „სასწაული“: ახალარჩეულმა მერმა არამცთუ აღიარა ამ მიმართულებით სერიოზული ჩავარდნა, არამედ დაგვპირდა მის აღმოფხვრას. ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო!

უნდა გამოვტყდეთ, რომ პირად საუბრებში, ზოგიერთი მაღალჩინოსანი ასევე კრიტიკულად აფასებს სამთავრობო სტრუქტურების „პიარსაც“. ამ საქმეში რომ გაბატონებულია არაპროფესიონალიზმი, ეს არაერთგზის გვითქვამს, მაგრამ ბოლო დღეების ამბებმა, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ამ სფეროში სუფევს სრული ქაოსი და მამალი პრიმიტივიზმი. უფრო მეტიც, მთავრობის ერთობ მაღალი სტატუსის მქონე ჩინოსნებს აბსოლუტურად არა აქვთ წარმოდგენა საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობაზე, მის განწყობაზე, ზოგჯერ ისეთ ეიფორიაში არიან, რომ იქმნება შთაბეჭდილება, ჯერ კიდევ ვერ გამოსულან 2012 წლის წინასაარჩევნო დაპირებების შთაბეჭდილებებიდან და ვერ გაურკვევიათ საქართველოში





ცხოვრობენ თუ იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს „ბედნიერების სამინისტრო“...

ჰოდა მივადექით ამ ცხელ გულზე სათქმელის მიზეზს:

**ბატონო პრემიერო, თქვენამდე მოაღწია იმ ქარიშხალმა, თუ რა ხდება სოციალურ მედიაში, კონკრეტულად, ფეისბუქში, რომელიც ასე „სძულს“ და საქილიკოდ გაუხდია თქვენს ზოგიერთ თანამებრძოლსა და კოლეგას? ან, ის თუ გაგიგიათ, როგორ „ღადაობენ „ლარის“ გაუქმებასა და ახალი ფულადი ერთეულის „ქუმსიკას“ შემოღებაზე?**

საერთოდ, მოდის თუ არა თქვენამდე ზუსტად, ყოველგვარი შელამაზების თუ ინტელიგენტური შეფუთვის გარეშე ის „შეფასებები“ (რომელთა გამეორებასაც თავს არ ვაკადრებ), რომლებითაც „უმასპინძლდებიან“ პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში, სოციალურ მედიაში თქვენი მთავრობის ზოგიერთ ნაბიჯს, შეფასებას („ლარის „გაქცევა“ ჩვენს ეკონომიკაში დადებითი ტენდენციების შედეგიაო), გადაწყვეტილებას ან მთავრობის ამა თუ იმ წევრის საჯარო გამოსვლას თუ გამონათქვამს, არადა, ზუსტად ისე რომ მიდიოდეს, როგორც წერენ და ამბობენ, ასე მგონია, ბლუჯა-ბლუჯა(!) „დააპუტავდით“ თმებს (რა თქმა უნდა, რაც შერჩენილი აქვთ) მათ, ვის გამოც ფეისბუქ-საზოგადოება თუ მედია-აუდიტორია თავს ვერ იკავებს არაჯენტლმენური რიტორიკისგან...

ჯერ იყო და ვიცე-პრემიერის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონი ჯეჯელავას „მჭერმეტყველებამ“ და ფრთიანმა გამონათქვამებმა აიყვანეს არნახულ „სიმაღლემდე“ თქვენი მთავრობის „ავტორიტეტი“... ახლა, ფეისბუქის არაერთმა ავტორმა თუ მედიასტრუქტურამ მოიმარჯვა ჯეჯელავას „საძულველი“ კომბალი, რათა ვირტუალურად(!) ჩაცხოს კიდევ ვიცე-პრემიერს, ბატონ ქუმსიშვილს საჯაროდ გამოთქმული „სიბრძნისთვის“. უახლოეს მომავალში არც „ნარცისად“ წოდებული მესამე ვიცე-პრემიერის გამიზნული, ღიმილისმომგვრელი „პიარია“ დაზღვეული „დეტალური“ ყურადღებისგან. განსაკუთრებით, ვიზიტიორებთან მისი „ხელისჩამორთმევის“ პრიმიტიული ფოტოსესიების და არაფრისმთქმელი ინფორმაციებით მედიის აჭრელებისთვის.

ბოლოდროინდელი ფეისბუქ-რისხვა და ფბ-ანეკდოტები გამოიწვია იმ უსიამოდ განსაცვიფრებელმა(!) განცხადებამ, რომელიც გაჟღერდა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე: ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა ქვეყანაში უარყოფითი მოლოდინების გაჩენის წყაროდ ფეისბუქის ავტორთა უარყოფითი კომენტარები და პოსტები დაასახელა. შეგახსენებთ ციტატას, რომლის სიზუსტე უტყუარი უნდა იყოს, რამეთუ „ინტერპრესნიუსი“ არც ერთ შემთხვევაში არ დაამახინჯებდა გამონათქვამს იმ ადამიანისა, რომლისთვისაც ეს მედიაჰოლდინგი უცხო ნამდვილად არ არის, რამეთუ მისი მეპატრონეები არ იზიარებენ კახელების აზრს იმის შესახებ, რომ სიძე ცოლის ნათესავებში არ გადის. თავად განსაჯეთ:

**„ძალიან ბევრჯერ დაისვა კითხვა, თუ ვინ აჩენს უარყოფით მოლოდინებს ამ ქვეყანაში. პასუხი არის ძალიან მარტივი – ვნახოთ, ვინ აკეთებს უარყოფით კომენტარებს, ვინ დებს პოსტებს. შესაბამისად, პასუხსაც ვნახავთ. არა მგონია, სხვაგან მოვძებნოთ უარყოფითი მოლოდინების გაჩენის წყარო, რაც ძალიან სამწუხაროა“.**

დიდი ხანია, მსგავსი „სიბრძნე“ არ მომისმენია საქართველოში. რაც შეეხება უცხოეთს, მხოლოდ აშშ პრეზიდენტი ტრამპი უტევს ასე უცერემონიოდ მედიას. თუ ქუმსიშვილი ტრამპისგან იღებს მაგალითს, რაღა მედიასთან ჭიდაობაში მოსინჯა კბილი, ადგეს და დოლარის განმტკიცების გამოცდილება გადაიღოს და ლარი დააოკოს... და თუ მაინც უნდა დაემსგავსოს დონალდ ტრამპს, ბოლოს და ბოლოს, ვარცხნილობა მაინც გადაიღოს იმ ვაჟკაცი პრეზიდენტისგან... ასეა თუ ისე, ბატონ ქუმსიშვილს მაინც მოუწევს საზოგადოებას აუხსნას, რა კონკრეტული მიზეზები და არგუმენტები აქვს მის პრეტენზიებს მედიისადმი.

შეიძლება ვინმეს, მათ შორის პრემიერსაც, დაებადოს შეკითხვა, იმ წარმატებების ფონზე, რასაც მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო ინსტიტუტები მსოფლიოს გასაგონად აღნიშნავენ, რას გამოეკიდეთო ერთ ფრაზას, ვის არ წამოცდენიაო ემოციურ ფონზე, ტრიბუნაზე მდგომს, სატელევიზიო კამერების წინ, ოპოზიციის დაძაბული ყურადღებისა და რეპლიკებით გაღიზიანებულს, ბოლოს და ბოლოს რიტორიკულს...

არ დგას ასე მარტივად ეს საკითხი. პირიქით! ეს პოზიციაა და არა გაფრენილი, ემოციური ფრაზა! მსგავსი ინტონაცია ადრეც გაისმა, როცა ბატონმა ქუმსიშვილმა „შეამჩნია“ აღორძინებული ბიზნესის შედეგად დაგროვილი „ბლუჯა-ბლუჯა“ ლარები და მედიას და კრიტიკულად განწყობილ საზოგადოებას უსაყვედურა „სიბრმავე“... ეს „ფორმულა“ საყვედურნარევი ინტონაციით, თავისი არსით მხოლოდ არაჯანსაღი, კი არ არის, არამედ გახლავთ აბსოლუტურად მიუღებელი, მეტისმეტად სახიფათო, რამეთუ ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუაციას, პირდაპირ მიმართულია დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპის – აზრის გამოხატვის, სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ.

და კიდევ: ეს განცხადება გაჟღერდა თქვენი და მთავრობის სრული შემად-

# მოყვარეს პირში უძრახე

გენლობის თანდასწრებით. და ვინაიდან აქამდე ამ „ბრძნული, ღრმადკომპეტენტური“ შეფასების უარყოფა არ მომხდარა, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მის პათოსს თქვენც იზიარებთ, რომ ქუმსიშვილმა საჯარო გახადა მთავრობის წევრთა ოფიციალური შეთანხმებული პოზიცია. აი, სწორედ ეს გახლავთ განსაკუთრებით შემაშფოთებელი.

და თუ ქუმსიშვილის გაცხადებული პოზიცია წინასწარ განხილული და მოწონებული არ გახლავთ, მაშინ რას უნდა მივაწეროთ თქვენი, თქვენი კოლეგების, თუნდაც, მთავრობის პრესსამსახურის დუმილი? ინტერნეტ-სივრცესთან ურთიერთობისთვის ხომ მთავრობის აპარატში საგანგებო სამსახური მუშაობს. არ გახსენებენ რა „ქარიშხალი მძვინვარებს“, რა იარლიყებით ამკობენ თქვენი მთავრობის წევრებს იქ?

თავის დროზე მოსახლეობას ემცნო, რომ სამთავრობო სტრუქტურების ურთიერთობას საზოგადოებასთან ეყოლება წარმართველი პერსონა — ვიცე-პრემიერი, რომელიც, თქვენი სიტყვებით, ამ სფეროში გამოცდილ სპეციალისტადაა აღიარებული? გვახსოვს მისი განცხადებები ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით, „ციანიდის საქმეზე“ და სხვ. ახლა? რატომ დუმს იგი? ზოგჯერ, მაღალჩინოსნები ერთმანეთს ასწრებენ საჯარო განცხადებებს ისეთ საკითხებზე, მათ რომ სრულებით არ ეხებათ და ლამის გადარიონ ქვეყანა, ახლა რა, როცა ლარის მერანივით „ჭენებას არ აქვს სამძღვარი“, გგონიათ, რომ საზოგადოებაში სიმშვიდეა? ვის ელოდებიან?

ეს დუმილი ტრადიციულად თუ კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა, იცოდეთ, კრიტიკა ქილიკსა და დაცინვაში გადაიზრდება, მოხდება მისი პერსონიფიკაცია... თქვენ ხომ პოლიტიკაში პირველი წელი არ ხართ, ნუთუ ვერ ხედავთ სამწუხარო „პერსპექტივას“? ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ზოგიერთი თქვენი უახლოესი თანამებრძოლის, რბილად რომ ვთქვათ, „ლაყბობამ“ ლარის, კომბლეს, გენიოსის მიერ ვითომ სიმთვრალეში შექმნილი შედევრების, ქართული ლიტერატურული კლასიკის საზეპიროების თაობაზე ნაღდი თუ მოარულად გავრცელებულმა „მარგალიტებმა“ თქვენი და მმართველი ძალის რეპუტაციას უფრო მეტი ზიანი მოგიტანათ, ვიდრე მთელი ე.წ. ოპოზიციის თქვენი მისამართით მომართულმა წინასაარჩევნო ლანძღვა-გინებამ. სწორედ ამ ვითარებაზეა ზედგამოჭრილი მაქსიმა: ღმერთო დამიფარე მეგობრებისგან, მტრებს თავად გავუსწორდებიო!

ჰოდა, ამ ვითარებაში გულწრფელად გირჩევთ, დაგმოთ, ამჯერად ქუმსიშვილის ეს უკვე ავადსახსენებელი განცხადება, მთავრობის სახელით მოუბოდიშოთ იმ ფეისბუქ-საზოგადოებას, რომელიც ფინანსთა მინისტრმა მაგრად კი გაახალისა და რომელიც კრიტიკის მიუხედავად, ჯერჯერობით ერთობ კეთილგანწყობილია მმართველი ძალისადმი.

არ მინდა სიღრმეებში წასვლა, მიუხედავად ცხელ გულზე დაწერილი ამ სტრიქონებისა, უტვინო გამონათქვამთა ჩამოთვლა სულ ადვილია... უბრალოდ მინდა, შეკითხვა დაგისვათ: ეს ხალხი ხომ თქვენი შერჩეულია; ზოგიერთი — თქვენი გამოზრდილიც; ზოგჯერ, თქვენი დაჟინებული მოთხოვნითაც კი დაინიშნენ თანამდებობებზე; თქვენთან ერთად გზაგამოვლილი, გამობრძმედილნი; ზოგიერთის კარიერულ წინსვლაშიც ხომ ლომის წილი გიდევთ; თანამდებობაზე საჯაროდ წარდგენისას თქვენ მიანიშნებდით მათთან პირად მეგობრობაზეც, თანასკოლელობაზე, თანაკურსელობაზეც... ჰოდა, ბუნებრივად იბადება შეკითხვა, ეს თქვენი ახლო ნაცნობ-კოლეგა-მეგობრები ადრეც იყვნენ დაუფლებული ასეთ მეტაფორებს, ძველადაც ასე ენამოსწრებული და ენაშეუკავებელი იყვნენ, ასეთი მახვილი და ორიგინალური აზრის პატრონები, ასეთი ბრძენკაცები, ადრეც ასე უხვად და „უანგაროდ“ ტყორცნიდნენ საზოგადოებას მსგავს „მარგალიტებს“ თუ ახლა გაუსკდათ მჭევრმეტყველების და ენამოსწრებულობის ბუშტი?

ალბათ, არა, წინა წლებში ასე ნამდვილად არ იქნებოდნენ გამორჩეული, თორემ უეჭველია, თქვენისთანა გონიერი, გაწონასწორებულ, საკუთარი ემოციების მმართველი მოღვაწე საერთო

**საზოგადოება დაუნახავი არ არის და ხედავს: „ქართულ ოცნებას“ და მის მთავრობას ბევრი საამაყო საქმე აქვს გაკეთებული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკისა და სოციალური კუთხით. მათ შორის, მისასალმებელია, რომ წარმოჩინდა არაერთი ახალი სახე — ახალთაობის განათლებული, ენერგიული, საზოგადოებასთან მისასვლელი პირ-სახის მქონე ჩინებული წარმომადგენლები... „ოცნება“ ამის შესახებ არ ყვირის, მაგრამ თანმიმდევრულად, დაბეჯითებით, ზოგჯერ კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც მოძრაობს წინ და ცვლის პოლიტიკურ ველს, ცდილობს, ამ ახალი სახეებით ჩაანაცვლოს მოყირჭებული „ძველები“. პრინციპში, არ არის ეს ურიგო ჩანაფიქრი, მხარდასაჭერია, ოღონდ... ზოგჯერ სამართლიანობა და სიფაქიზე აკლია. ესეც ბუნებრივი მომენტია, რომლის თავიდან აცილება ნორმალური და ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებსაც კი უჭირთ, არამცთუ...**

საქმეში ახლოს არ გაიკარებდით ასეთ ზერელე და სისულელეების წამომროშავ ამხანაგებს. ასეთი „ლაი-ლაი“ ხომ მხოლოდ სტუდენტურ „ჯოკერის პულკაში“ მოსულა, მთავრობაში და „ქართუ-ბანკში“ — ნურას უკაცრავად!

მესმის და მჯერა, რომ „რაღაც“ მიმართულებით, „რაღაც“ სფეროში კოლექტიური „ქუმსიშვილ-ჯეჯელავა“, ალბათ, კომპეტენტური გახლავთ (რამაც, ალბათ, გაგაკეთებინათ კიდეც არჩევანი), თუმცა საზოგადოებრივი დისკუსიები, რაც მედიაში არცთუ იშვიათად გამართულა, მათი საჯარო გამოსვლები ჩინებული ვოკალური მონაცემების დემონსტრაციითაც კი, მაინცდამაინც არ ადასტურებს ჩემს და ზოგიერთი კეთილგანწყობილი მოქალაქის ოპტიმისტურ შეფასებებს. უფრო მეტიც: ზოგადად პოლიტიკაში (ეს თანამდებობები კი ნაღდად პოლიტიკურია), კონკრეტულად კი საზოგადოებასთან ურთიერთობაში, საზოგადოებასთან დიალოგში, საზოგადოების ინფორმირების მეთოდებში არამცთუ მოიკოჭლებენ, არამედ უბრალოდ უვიცები გახლავან. ისე, საინტერესო კია, წარმატებით თუ ჩააბარებენ ისინი ეროვნულ გამოცდებს... უნარებში!!!

ცოტა ხისტად გამომდის, მაგრამ, ხომ გახსოვთ: პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება — უფრო ძვირფასი! ეს კლასიკაა. მას გავამდიდრებ ერთი ანეკდოტით: გურულს ჰკითხეს, მთელი დღის განმავლობაში ამდენ სისულელეს რომ ამბობ, როგორ ახერხებო? უპასუხა: ადრე ვდგებიო! ედუარდ შევარდნაძემ, რომ მოვუყევი ეს ანეკდოტი, უმალ დაამატა: გვიანაც წვებაო!

ჰოდა, კლასიკიდან და ხალხური იუმორიდან გამომდინარე, ერთ რჩევას მოგცემთ: ეგებ, მაღალი რანგის ზოგიერთ თქვენს თანამებრძოლს აუკრძალოთ „ადრე ადგომა და გვიან დაწოლა“. დამიჯერეთ: ისინი, თქვენ და ჩვენ — ყველანი ერთად მოვიგებთ!

საზოგადოება დაუნახავი არ არის და ხედავს: „ქართულ ოცნებას“ და მის მთავრობას ბევრი საამაყო საქმე აქვს გაკეთებული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკისა და სოციალური კუთხით. მათ შორის, მისასალმებელია, რომ წარმოჩინდა არაერთი ახალი სახე — ახალთაობის განათლებული, ენერგიული, საზოგადოებასთან მისასვლელი პირ-სახის მქონე ჩინებული წარმომადგენლები... „ოცნება“ ამის შესახებ არ ყვირის, მაგრამ თანმიმდევრულად, დაბეჯითებით, ზოგჯერ კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც მოძრაობს წინ და ცვლის პოლიტიკურ ველს, ცდილობს, ამ ახალი სახეებით ჩაანაცვლოს მოყირჭებული „ძველები“. პრინციპში, არ არის ეს ურიგო ჩანაფიქრი, მხარდასაჭერია, ოღონდ... ზოგჯერ სამართლიანობა და სიფაქიზე აკლია. ესეც ბუნებრივი მომენტია, რომლის თავიდან აცილება ნორმალური და ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებსაც კი უჭირთ, არამცთუ...

მაგრამ არის ერთი რამ, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ კი ამის სურვილი ექნება იმ „ბირთვს“, რომელსაც აქვს ამ პროცესზე რეალური გავლენა: ყველა ე.წ. „ძველის“ ერთი მეთოდით გაკრეფა არის არა მარტო უსამართლობა, არამედ უსინდისობაც და მავნებლობაც. სამწუხაროდ, ამ ბირთვმა სერიოზული დოზით უკვე დაუშვა ეს უსამართლობა, რომელსაც დაემატა არც მეტი, არც ნაკლები: უმადურობა!!! ამიტომაც არ მცირდება „ოცნების“ კრიტიკოსთა რაოდენობა, სწორედ მათი რიგებიდან ივსება ოპოზიციური სპექტრი.

კრიტიკა და უკმაყოფილება, უწინარესად, ეხება სფეროს, რომელსაც, ძველ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ჰქვია კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე !!!

კომუნისტებს ჰქონდათ ფორმულა: კადრები წყვეტენ ყველაფერს. ჩემი 55-წლიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკის გადმოსახედიდან, შემიძლია, დავარწმუნო მკითხველი, რომ ეს მართლაც ასეა, მართლაც ჭეშმარიტებაა.

შეიძლება, გაგაოცოთ იმის თქმამ, რომ არავითარი საჯაროდ გაცხადებული და ფართო საზოგადოების მიერ მოწონებული პრინციპი „კადრების“ სფეროში „ოცნებას“, სამწუხაროდ, არ გააჩნია!

აბა, რომელი პრინციპიდან გამომდინარე შეიძლება გაამართლო ის ვითარება, როცა ბევრი, ძალიან ბევრი გულანთებული, აქტიური მებრძოლი, რომელთა თავდადების გარეშე 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება არ შედგებოდა, „თამაშგარე“ დარჩა? ეს ხომ საიდუმლო არ არის? გაუგებარია მათდამი უყურადღებობა, ანუ, არაფაქიზი დამოკიდებულება იმ დროს, როცა „ყურადღებით“, დაუმსახურებელი კარიერული და სხვა პრივილეგიით სარგებლობს არაერთი აქტიური მოწინააღმდეგე, „ქართულ ოცნებას“ დაუფარავად და განსაკუთრებული მონდომებით რომ ებრძოდა.

ის, რომ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს -– გამოცდილებს, პატიოსნებს, კომპეტენტურებს, ნიჭიერებს, თავმდაბლებს — „კოჰაბიტაციის“ შედეგად თანამდებობები და დეპუტატის სავარძლები „შეუნარჩუნდათ“ და „მოენახათ“, არ იწვევს საზოგადოების ჯანსაღი ძალების პროტესტს. დაუფარავ უკმაყოფილებას მხოლოდ ის იწვევს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში „ოცნებას“ და მის მთავრობას მედროვეებისადმი მოფერებისას „ნამეტანი“ მოსდის, ნამეტანი!.. დავიჯერო, უანგაროდ?!

რომ ვამბობთ წინა „რეჟიმიო“, საავაშვილი კი იყო ამ რეჟიმის სული და გული, მაგრამ... მინისტრის მოადგილეები, დეპუტატები, მთავრობის აპარატის მაღალჩინოსნები, ბიზნესმენები, რომლებიც ფულით ამარაგებდნენ ამ „რეჟიმს“, მამა აბრამის ბატკნებად რატომ არიან წარმოჩენილი? რატომ, რა არგუმენტებით, რა მონაცემებით, რა პრაქტიკით, რა დამსახურებით, ცხოვრების რა სამაგალითო წესით ერთნი უმაღლეს თანამდებობებზე (მათ შორის, დეპუტატებად, მინისტრებად და უფრო მეტზე) თავაწეულნი, ქედმაღალნი დააბიჯებენ, მორალს უკითხავენ საზოგადოებას და მეორენი, მათზე უფრო ნაღდები, თავმდაბალნი, უფრო კომპეტენტურნი „ოცნების“ წყალობის გარეშე არიან დარჩენილნი...

„კადრების“ საკითხში კურსის აღება მხოლოდ უმწიფარ, ცხოვრებისეული გამოცდილების არმქონე, სამაგიეროდ, უცხოურ დიპლომების მფლობელ ახალგაზრდებზე, არის სრული პოლიტიკური იდიოტიზმი. ეს იმდენად დიდი და სერიოზული პრობლემაა, იმდენად მავნებლურია ეროვნული განათლების სისტემის განვითარებისთვის, რომ გაკვრით ამ თემაზე საუბარს აზრი არა აქვს.

ამ შეკითხვებზე პასუხი გასაცემია და, მოგწონთ თუ არა, საპასუხოდ მოგიწევთ პაწია „ოფლის ღვრა“.

...ეს დღეები სულ ერთ, მოულოდნელად გარდაცვლილ, ნიჭიერ და სპეტაკ ადამიანზე ვფიქრობ, ჯერ იმაზე, თუ რა რთულია პოლიტიკაში ყოფნა, მერე, კიდევ უფრო რთული მაშინ, როცა პოლიტიკას გაეცლები. მით უმეტეს, იმ ადამიანებისთვის, ვისაც ჭკუა-გონებასთან, ფანტასტიკურ ნიჭიერებასა და შრომისმოყვარეობასთან ერთად, გააჩნია ზნეობა — სინდისი, პატიოსნება, თავმდაბლობა და მოთხოვნილება, არ შეაწუხოს არავინ თავისი პრობლემებით. ყველა ეპოქას, ყველა „რეჟიმს“ ჰყავს ასეთი დონ-კიხოტები, იდეაზე შეწირული მოღვაწენი.

ახლა ვფიქრობ, აი, ამ გადასახედიდან, ხვალ რომ ქვეყანა გადატრიალდეს, ვინ დარჩება ასეთ „ლამანჩელად“, თემურ ქორიძესავით ყოველთვის მოუსყიდველად, ვისაც არ ექნება დაგროვილი არამცთუ სიმდიდრე, არამედ სახსარი არსებობისთვის, ვინც სახელმწიფოსგან შეთავაზებულ ხუთოთახიან ბინას გაჭირვებულ მრავალშვილიან ოჯახს დაუთმობს და... ვისაც, უდროოდ აღსრულებულს, გამოასვენებენ ქალაქის გარეუბანში არსებული, მხოლოდ წიგნებით გაჭედილი ერთოთახიანი „ხრუშჩოვკიდან“...

ვფიქრობ და ვერავინ „გავიმეტე“ ამ როლისთვის დღევანდელი მთავრობიდან... ერთი ნაღდია, ღმერთმა არ ქნას, მაგრამ თეორიულად თუ კი განხორციელდა ასეთი „სცენარი“, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დღევანდელ არაერთ დეპუტატს, მინისტრს, მაღალჩინოსანს, ძალოვანს ვიხილავთ „ახალ“ კოჰაბიტირებულ პარლამენტში, „ახალ“ კოჰაბიტირებულ“ მთავრობაში, „ახალ“ კოჰაბიტირებულ მმართველ პოლიტიკურ პარტიაში...

ეს კლასიკაა! არა მარტო ქართული პოლიტიკისთვის... ამიტომაც ვტრიალებთ მეოთხედი საუკუნეა, ერთ წრეზე და ალტაცებული, ალტყინებული, აჟიტირებული, დაუოკებლნი „ვღრიალებთ“ ხმის ჩახლეჩვამდე:

„...ჯოს“!..

„...ჯოს“!..

ტაში, კუკური!!!!!



**ნუგზარ ფოფხაძე**

# გორში, ვაინახური კულტურის კვირეული დაიწყო

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში ღონისძიებები 6, 8 და 10 ნოემბერს ჩატარება.**



კვირეულის ფარგლებში დაგეგმილია მრავალფეროვანი პროგრამა — კონცერტი, საჯარო ლექციები, ქისტური ფოლკლორისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, ვაინახურ თემაზე შექმნილი წიგნების პრეზენტაცია, პანკისის ხეობასა და პანკისელ ქისტ ქალებზე გადაღებული ვიდეორგოლების პრეზენტაცია, ქისტი პოეტების შემოქმედების გაცნობა, ბავშვთა თეატრის სპექტაკლი, სპორტული ღონისძიებები და სხვა.

კვირეულის მიზანია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, კულტურის თვითმყოფადობის შემადგენელი ელემენტების — ენის, ტრადიციების, შემოქმედების ნიმუშებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება, ქართულ-ვაინახური ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცება.

# ძვირფას სტუმრებს დახვედრაც ძვირფასი უნდა!

**რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი — ეს იმ ქვეყნების სამეული გახლავთ, საიდანაც შარშან საქართველოს ყველაზე მეტი სტუმარი ეწვია. ახალი საზამთრო-საზაფხულო ტურისტული სეზონის დაწყებამდე ალბათ, ღირს იმის გახსენება, რომ შარშან საქართველოში რეკორდულ შვიდ მილიონზე მეტი მომნახველი ჩამოვიდა, თუმცა კი, როგორც ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, არსებულ პოტენციალთან შედარებით რიცხოვნობის გაზრდის კარგი პერსპექტივები არსებობს. საქმე ის გახლავთ, რომ მიუხედავად საგრძნობი პროცენტული ზრდისა, ოდენობრივად ზოგიერთი ქვეყნიდან (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან) ჩვენ მაინც ცოტა ხალხი გვსტუმრობს.**

**ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი, მეტად საგულისხმო გარემოება, რომელიც ჩვენში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას აშკარად ხელს უშლის. ჩატარებული გამოკვლევებით ირკვევა, რომ საქართველოში უკვე ნამყოფ ტურისტთაგან საკმაოდ მცირეა იმ ხალხის ოდენობა, ვინც ხელმეორედ სტუმრობის სურვილით წავიდა. ამის უმთავრესი მიზეზი კი არა მაინცდამაინც მსოფლიოს სხვა კუთხეების მონახულების სურვილია, არამედ საქართველოში არსებული არაკომფორტული ინფრასტრუქტურა და მომსახურების არასაკმარისი დონეა.**

სამამულო ტურისტულ ბიზნესში ბოლო წლების აშკარა წინსვლისა და მიღწეული წარმატებების მიუხედავად, რაც თბილისისა და აჭარის ზღვისპირეთის გარდა ქვეყნის სხვა მხარეებით, მათ შორის, პირველ ყოვლისა, მთის კურორტებით, აგრეთვე კახეთით დაინტერესებაში გამოიხატება, გასაკეთებელი და მისახედი საქმე სატრაბახოზე გაცილებით მეტია. დიდი პოტენციალის არსებობის მიუხედავად, რაც გეოგრაფიული მრავალფეროვნებით, ისტორიულ-კულტურული ძეგლების, განუმეორებელი ლანდშაფტების სიუხვითა და მხარეების თვითმყოფადობითაა განპირობებული, თუ არა საგანგებოდ შესაფერის „შეფუთვაში“ მათი მოქცეა, ისინი თავისთავად ასე ვთქვათ, „ტურისტულ პროდუქტად“ ვერ გადაიქცევიან. თანამედროვე საერთაშორისო ტურისტული სერვისებით გაფუფუნებული მომხმარებლისთვის კი ეს საკმაოდ სერიოზული მიზეზია საიმისოდ, რომ არც ქვეყანაში ხელმეორედ სტუმრობის სურვილი აღეძრას, არც ნაცნობ-ახლობლებში მას რეკომენდაცია გაუწიოს. თანაც ერთობ საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში საქართველოში მთელი რიგი ევროპული ქვეყნიდან, მათ შორის ნიდერლანდიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან, ასევე ცენტრალური აზიიდან (ყაზახეთიდან და უზბეკეთიდან) ტურისტული ნაკადის მომძლავრების მიუხედავად, ამ



მხრივ ყველაზე პერსპექტიულ ქვეყნად მაინც რუსეთი რჩება, თუმცა კი ჩვენს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობები ამ მიმართულებით ახლო მომავალში სასიკეთო ცვლილებებს საკმაოდ ეფემერულს ხდის.

ბუნებრივია, რომ საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის სასურველ დონემდე განვითარებას, რასაც სამამულო ეკონომიკის განვითარების მთავრობის მიერ შერჩეული პრიორიტეტები გულისხმობს, სფეროსადმი და მასში არსებული პრობლემების გადასაჭრელად კომპლექსური მიდგომა სჭირდება, რაც პრინციპში, არ არსებობს. **ამას ის გარემოება მოწმობს, რომ დღესდღეობით არ არსებობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების თუნდაც მიახლოებითი კონცეფცია, ლაპარაკი აღარ არის კონკრეტულ პროგრამაზე და საქმე, ძირითადად, ცალკეული საინვესტიციო პროექტების გაპიარება-განხორციელებით შემოიფარგლება.** არადა, ამ მიმართულებით სპეციალისტებისთვის თავსატეხი თითქოს არც უნდა იყოს: მთავარი „მხოლოდ“ ორი „მარტივი“ საკითხის გადაჭრაა: **სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა და სერვისის შესაფერის სტანდარტამდე მიყვანა.** ამაზე წლების განმავლობაში ყველა ტრიბუნიდან გავიძახით, მაგრამ, რომ იტყვიან, ურემი ისევ იმ ლაფშია ჩარჩენილი, სადაც აქამდე იყო. ამის თვალნათელი მაგალითი თუნდაც უცხოელი ტურისტების ტაქსებით მომსახურებაა, რა დროსაც თავის ნებაზე მიშვებული მძღოლები მართლაც რომ „უთოფო ყაჩაღობას“ ეწევიან (ვისაც არ სჯერა, დედაქალაქის მაღალი კატეგორიის სასტუმროსთან დადარაჯებულ ტაქსისტებს გამოელაპარაკეთ და თავადვე დარწმუნდებით).

ბუნებრივია, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარებას მთავრობა აუცილებლად უნდა უწყობდეს ხელს, რაც, პირველ ყოვლისა, ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით უნდა ხდებოდეს, მაგრამ დანარჩენი უკვე ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მძლავრი ინვესტორების საქმე უნდა იყოს. საამისოდ კი **აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის სათანადო ასპარეზის, ასევე იქ მოქმედების თავისუფლებისა და, რაც მთავარია, სახსრების მიწოდება, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ კი მსხვილ ინვესტორთა მოზიდვაზე უნდა იზრუნოს.**

ამავე დროს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, წინა პლანზე ერთი საკითხი იწევს, რომელიც ცხადია, ყოველთვის კი არსებობდა, მაგრამ ერთგვარად, „კულისების ჩრდილში“ იყო მოქცეული. მხედველობაში გვაქვს როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ასევე ევროპის მოწინავე ტურისტული ქვეყნების — საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის, კვიპროსის მაგალითები. მათ დონემდე ერთი რომ ძალიან ბევრი გვიკლია, მეორეც ის, რომ ასეთი „აწყობილი“ ბიზნესის მიუხედავადაც კი, ტურიზმი, მათი ეკონომიკების „გამწევი ლოკომოტივის“ როლს მაინც ვერ ასრულებს. ჩვენში არასტაბილური საგარეო ვითარება კი ტურიზმისთვის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძალის სტატუსის მინიჭება, დიდწილად მიამიტობად უნდა მივიჩნიოთ.

**ოთარ ტურაბელიძე**



# გოლფსტრიმმა მიმართულება შეიცვალა – გამყინვარება იწყება?

**„ერთ-ერთი შვეიცარიელი ექსპერტის მიერ საიდუმლოდაა გამხელილი მსოფლიოსთვის, რომ 2017 წელი იქნება ბოლო წელიწადი, როცა მეტ-ნაკლებად სტაბილური კლიმატი გვექნება. შემდეგი წლიდან კი უკვე ცვლადი პროგნოზია“, — აცხადებს „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე For.ge-სთან საუბარში და განმარტავს, რომ არსებული ინფორმაციით, გოლფსტრიმმა უკვე შეიცვალა მიმართულება.**

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ატლანტის ოკეანეში არსებული გოლფსტრიმის თბილ დინებათა სისტემა დიდ გავლენას ახდენს ატლანტისპირა ევროპული ქვეყნების კლიმატზე, ხოლო გოლფსტრიმის თბილი წყლები ათბობს ჰაერის მასებს, რომლებიც დასავლეთის ქარებს გადააქვს ევროპის სანაპიროებისკენ, გოლფსტრიმის მიმართულების შეცვლა, ცხადია, აისახება ევროპაზეც. ეს ნიშნავს, რომ გამყინვარება დაიწყება ევროპის კონტინენტზე.

უფრო მეტიც, სომხეთის ჰიდრომეტეოროლოგიურმა ცენტრმაც ამ ზამთრისთვის ძალზე არასახარბიელო პროგნოზი გააკეთა: ერევანში 30 გრადუსამდე დაეცემა ტემპერატურა. ნინო ჩხობაძის თქმით, როგორც წესი, ჩვენთან მინუს 10 გრადუსია სომხეთთან შედარებით. ასე რომ, გამორიცხული არ არის, თბილისში -20 გრადუსს ველოდოთ ზამთრის პერიოდისთვის.

მისივე თქმით, მინუს 20 გრადუსი თბილისისთვის იშვიათი პროგნოზი არ არის, რადგან მეოცე საუკუნეში თბილისს ახსოვს დაბალი ტემპერატურები, როცა მტკვარიც გაყინულა.

რაც შეეხება ევროპის მომავალს, ნინო ჩხობაძე ამბობს, რომ შვეიცარიელი მეცნიერების ინფორმაციით, 2018 წლიდან კატაკლიზმებს უნდა ველოდოთ და სტიქიური მოვლენები არაპროგნოზირებადი, არასეზონური გახდება. ეს შეიძლება გახდეს სერიოზული პრობლემების წინაპირობა. რაც ახლა ხდება ევროპაში ციკლონთან დაკავშირებით, დაიტბორა ბერლინი და სხვა, დაახლოებით ეს იყო ნავარაუდევი. ცვლადობა ძალზე სერიოზულია და თითქმის ყველა სახელმწიფო ამისთვის ემზადება, რადგან არაპროგნოზირებადი, რეგიონისთვის არადამახასიათებელი ამინდებია მოსალოდნელი.

**„არავინ იცის, 2018 წლიდან მართლაც დაიწყება თუ არა გამყინვარება. მთავარია, რომ კონტინენტური კლიმატი ყალიბდება. ეს არის კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი ინდიკატორი, როცა ზაფხული ძალიან ცხელია, ხოლო ზამთარი ცოტათი მკაცრი. როგორც წესი, ამის გამოვლენა შეიძლება მოხდეს თებერვალ-მარტში, რადგან საქართველოსთვის ასეა დამახასიათებელი. თუმცა დეკემბერიც და იანვარიც ზამთრის თვეებია და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დაბალი ტემპერატურა იქნება. გლობალური კლიმატი იცლება და თუ ეს ვინმეს არ სჯერა, შეუძლია იმ ლიტერატურით იხელმძღვანელოს, რომელიც ზოგადად, მსოფლიოში არსებობს“,** — აცხადებს For.ge -სთან საუბრისას ნინო ჩხობაძე.

გარემოს ეროვნულ სააგენტოს, როგორც ჩანს, არათუ ჩხობაძის ვარაუდის, არამედ, არც „მსოფლიოში არსებული ლიტერატურის“ სჯერა, რადგან მათი თქმით, ამ ეტაპზე, მომავალი ზამთრის ანომალიურობის დადასტურების არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სამმართველოს უფროსი სვეტლანა ნიორაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ წინასწარ ძნელია იმის თქმა, ერევანში იქნება თუ არა მინუს 30 გრადუსი და, შესაბამისად, თბილისშიც მოსალოდნელია თუ არა — 20 გრადუსი ტემპერატურა.

**„ასეთ პროგნოზს ჩვენ არც ვადასტურებთ, არც უარვყოფთ. ის, რომ ევროპაში გამყინვარება იწყება, ალბათ, ცალკეულ მეცნიერთა ვარაუდია. ნოემბრის ბოლოს დაიდება ზამთრის სეზონის ოფიციალური პროგნოზი, რომელსაც, როგორც წესი, სინოპტიკოსების ფორუმზე ადგენენ. ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ყოველ წელიწადს ტარდება სინოპტიკოსთა ფორუმი და იქ გადაწყდება, როგორი ზამთარი იქნება. საერთოდ, ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ასეთ ინფორმაციებს“,** — აღნიშნა **სვეტლანა ნიორაძემ.**

ჩხობაძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ უნდა დაიწყოს მზადება ზამთრისთვის, მაგალთად, მარილის მარაგი, თუ არსებობს ქვეყანაში? გზები, რომ გაიყინოს უცებ, ტრანსპორტი ხომ არ იქნება პარალიზებული? გარე განათებების სისტემები უნდა იყოს მწყობრში, ასევე გაზის კორპორაცია, რომელიც არის კერძო, ახლა უნდა დადიოდეს და ამოწმებდეს გაყვანილობას, რადგან ყველა მილი გარეთ გვაქვს და ა.შ. ყველაფერი ეს კომპლექსურად უნდა იყოს შეფასებული და შემოწმებული.

**„მაგალითად, ქუთაისი რომ დაიტბორა, უცებ მოვიდა უხვი ნალექი და ვერ გავთვალეთ, რომ არხები შესაბამისად უნდა ყოფილიყო გაწმენდილი, სადაც მდინარე მიედინება და მოხდა ის, რაც მოხდა. სწორედ ამიტომაა საყურადღებო ეს პროგნოზი, რადგან ეს ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ ასეთი ექსტრემალური სიტუაციები გახშირდება.**

ასევე იყო ამერიკაშიც, როდესაც ქარიშხალი „ირმას“ პროგნოზირებადი არ იყო, მაგრამ კლიმატოლოგებმა თქვეს, რომ შესაძლებელი იყო ასეთი ქარიშხლები გაძლიერებულიყო, ახლა ასეთივე სიტუაციაა ციკლონთან დაკავშირებითაც. იგივე მეცნიერები ამბობენ, რომ ეს პროგნოზირებული აქვთ და უგზავნიან სახელმწიფოებს, რომ ისინი მზად იყვნენ ამ მოსალოდნელი პროცესებისთვის.

**მანანა ნოზაძე,**
**ალა ისპირიანი**



კოლორიტი

# ხელოვანი, რომელიც მუდამ თანამედროვეა

**ვინც დღეს გაქებს, ხვალ შეიძლება მან დაგამიწოს და პირიქით, ვინც გაძაგებს, შეიძლება, ხვალ ტაში დაგიკრას, ამიტომ ერთნაირად ვღებულობ ქებასაც და კრიტიკასაც.**

**მანანა მენაბდე**

ᲐᲠᲘᲡ ეპოქა, არიან ეპოქის შემქმნელები, აი, ისეთები, წლების კი არა, საუკუნეთა შემდგომაც რომ გახსენებენ თავს. გახსენებენ და თანაც, როგორ... ნოსტალგია ქალაქური სახლებისა, ბინებისა, ბინებში ლამაზად, თუმცა სადად მოჩითული კედლებიდან წინაპრების სურათები რომ გიმზერენ, კუთხეში სამფეხა მაგიდაზე გამოჯგიმული ყელყელა პატეფონი, გინდაც გრამოფონი და... დები იშხნელების მომნუსხველი ჰანგები. ეს ჩვენი წინაპრების ყოველდღიური ცხოვრება იყო. გრილი საღამო, მურაბიანი ჩაი, „ბანტიანი გიტარა“ და... მთელი ეპოქა.

სწორედ ეს ნოსტალგია ამოტივტივდება ყოველთვის, როდესაც **მანანა მენაბდის** სახელს მოვკრავ ყურს. მანანას ბედმა დიდი მისია დააკისრა — ყოფილიყო ლეგენდარული იშხნელების სასიქადულო შთამომავალი. იგი მრავალი მუზის მსახურია თავისი შესანიშნავი პროზით, მხატვრობით, პოეზიით, მუსიკით, ფოტოებით. იგი ყველაფერს თავისი სიამოვნებისთვის აკეთებს და ეს სიამოვნება ათასობით ადამიანს გადაეცემა. აკი თავადაც ამბობს — **„ხშირად მისვამენ შეკითხვას, თუ რა უფრო ვარ, მომღერალი, პოეტი, მწერალი თუ მხატვარი. ხელოვნების თითქმის ყველა დარგში რაღაცა მაქვს გაკეთებული. იმიტომ კი არ ვაკეთებ ამას, რომ ვიღაცამ რამე თქვას, ვთქვათ, მანანამ გააკეთა ფოტოგამოფენა. აი, იმ ფოტოგამოფენისგან და, საერთოდ, თითოეული ჩემი ნაშრომიდან მე რაღაც მინდა — მინდა სიამოვნება მივიღო“...**



**მანანა მენაბდე — ქართველი მუსიკოსი, მომღერალი, მწერალი, მხატვარი, პოეტი, მსახიობი. დაიბადა დები იშხნელების ოჯახში, დაამთავრა რუსეთის თეატრალური ხელოვნების აკადემია.**

როგორც ზემოთ ვთქვი, მილიონებისთვის სიხარულის მინიჭება ერთეულთა ხვედრია. მათ შორისაა მანანა მენაბდე, ყველასგან განსხვავებული, ჩუმი, მორიდებული, პრეტენზიული თავის თავის მიმართ, მანანა მენაბდე მუდამ ძიებაშია, სილამაზის ქმნაში, თავისი სტილის ჩამოყალიბებაში, რომელსაც თავდაუზოგავი შრომა სჭირდება. იზრდებოდა, როგორც თავად ამბობს, ნორმალურ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ორი წლისამ იცოდა ნოტები, იგი მაინც ჩვეულებრივ ბავშვად თვლიდა თავს, რადგან არ დაკარგვია ის უბედნიერესი წლები, რასაც ბავშვობა ჰქვია — პატარაობიდანვე არ იქცა ვუნდერკინდად...




* * *

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 4 ნოემბერს, მაგთიკლუბმა თავისი სივრცე მანანა მენაბდეს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებსა და მეგობრებს დაუთმო. გვიანობამდე გაგრძელდა ხელოვნების ზეიმი. კიდევ ერთხელ მოაჯადოვა მსმენელები მანანა მენაბდის ყველასგან განსხვავებულმა, ორიგინალურმა ობერტონებით სავსე ტემბრმა. ის ხომ ქალაქური სიმღერების ერთ-ერთი ინტელექტუალური შემსრულებელია, სწორედ ისეთი, ცრემლის მომგვრელი ნოსტალგიით რომ გადაგიყვანს იმ ეპოქაში, რომელსაც გასული საუკუნის დასაწყისი ჰქვია. მანანას დამსახურებაა ის, რომ მისი შემოქმედება მუდამ, ნებისმიერ ეპოქაში თანამედროვედ აღიქმება.

**„რას ნიშნავს თანამედროვეობა? ახლა აჩქარებული დროა. თუ ამ დროს ფეხი არ აუდგი, არაფერი გამოგივა. დღეს სხვანაირი ბმებია. ძალიან საფრთხილო საქმეა დამკვიდრებულს აჯობო, მიბაძვა ადვილია... შემისრულებია სხვისი სიმღერები, თუმცა არასოდეს გამიკეთებია „სეტკა“**. — ეს თავად მანანა მენაბდის შეფასებაა მანანა მენაბდეზე. ის მართლაც განსხვავებულია თავისი პროზით, კერამიკული ნამუშევრებით, მასზე გადაღებული ფილმებით თუ მის მიერ გადაღებული ფილმებით, პოეტური ნაწარმოებებითა და ორიგინალური ფოტოებით. მანანა ხომ ქართული ხალხური მუსიკალური საწყისების თანამედროვე მუსიკალური ენის საშუალებით გადმოცემის დიდოსტატად ითვლება.

**— „დღევანდელი საღამო ჩემთვის ძალიან ნოსტალგიური იყო, გამახსენა ბევრი რამ, საუკეთესო წლები და მე პირადად ძალიან მიხარია, რომ დავესწარი ამ საღამოს“,** — ეს შესანიშნავი კომპოზიტორი მანანა მენაბდის უახლოესი მეგობარი ბატონი ოთარ ტატიშვილი გახლავთ.

ამავე აზრის იყვნენ მაგთიკლუბში შეკრებილი თბილისელები, რომლებმაც მართლაც უზარმაზარი შთაბეჭდილებით დატოვეს საღამო. მაგთიკლუბის სივრცე კი კვლავ უამრავ სიურპრიზს გვპირდება.

**მამუკა ვაშაკიძე**



გამოფენა

# გრძელი გზა სამკვიდროდ

**ᲐᲕᲑᲔᲓᲝᲑᲘᲡ ჟამს სამშობლოდან გადახვეწილი ქართველი მხატვრისა და მოქანდაკის ᲡᲘᲛᲝᲜ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ საფრანგეთში სამამულო ემიგრაციის წარმომადგენელთა ოჯახებში, ასევე საქართველოს სანათესავოში სათითაოდ შეგროვილი ნამუშევრების გამოფენას მასპინძლობს ამ დღეებში გ. ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“ არტ-გალერეა.**

5 ნოემბერს ვერნისაჟის საზეიმო გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი **მიხეილ გიორგაძე**. აღინიშნა შესანიშნავი შემოქმედის ნამუშევართა თავმოყრის საქმეში ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, პარლამენტის დეპუტატის **სალომე ზურაბიშვილის** წვლილი.

სიმონ დადიანის ნამუშევართა გამოფენა, რომელშიც რამდენიმე მცირე ქანდაკება და ორ ათეულამდე ფერწერული ტილოა, კლინიკა „ოფთალმიჯის“ „არტ-გალერეაში“ თვის მიწურულამდე გასტანს, რის შემდგომ ხელოვნების სასახლეში დაიდებს ბინას.

სხვადასხვა დროს ეს კოლექცია ნიუ-იორკის „მონტროსის“, ასევე სან-ფრანცისკოს ხელოვნების მუზეუმსა და სამხატვრო გალერეაში იყო გამოფენილი, სადაც მნახველთა დიდი მოწონება ხვდა წილად.

— დიდი მადლობა მინდა მოვახსენო სიმონ დადიანის ნამუშევართა შემგროვებელი ჯგუფის ყველა წევრს, რომელმაც საქართველოში ასეთი განძის დაბრუნება შეძლო, კლინიკა „ოფთალმიჯის“ თავკაცს გ. ჯავრიშვილს, ასევე ხელოვნების სახლის დირექტორს გიორგი კალანდიას, რომლის ხელმძღვანელობით ხელოვნების მუზეუმში დიდებული ქართველი მხატვრისა და მოქანდაკის შემოქმედება საგანგებოდ მოწყობილ დარბაზში მუდმივად იქნება გამოფენილი, — თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა **გია გუგუშვილმა**.







განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ცნობილმა ჟურნალისტმა და მწერალმა ნინო ხოფერიამ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „სიმონიკა დადიანის დაბრუნება“, რომლის პრემიერასაც მაყურებელი 7 ნოემბერს კინოთეატრ „რუსთაველში“ იხილავს.








**ნინო ალექსანდრია.**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

# ყირგიზეთში პრეზიდენტი შეიცვალა



ყირგიზეთის ახალი პრეზიდენტი სოორონბაი ჟეენბეკოვი

**ყირგიზეთში ახალი პრეზიდენტი აირჩიეს. სოორონბაი ჟეენბეკოვი თანამდებობას ოფიციალურად 1 დეკემბრიდან დაიკავებს და ამით წერტილს დაუსვამს რესპუბლიკის ყველაზე არაერთსახოვანი ხელმძღვანელის ექვსწლიან მმართველობას. წინანდელი პრეზიდენტის ალმაზბეკ ატამბაევის მმართველობა დაგვამახსოვრდება არა ყირგიზეთის ეკონომიკური ან პოლიტიკური მიღწევებით, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალზე ცოტა იყო, არამედ უკიდურესად ოდიოზური საქციელითა და სკანდალური გამონათქვამებით, რომლებმაც ყირგიზეთი ფაქტობრივად პოსტსაბჭოთა სივრცეში განდგომილ სახელმწიფოდ აქცია.**

## როცა კაცს ენა წინ უსწრებს!



ალმაზბეკ ატამბაევი ყირგიზეთის ერთობ ჭრელი პოლიტიკური პალიტრისთვისაც კი, დიპლომატიურად რომ ვთქვათ, ერთობ მოულოდნელი ფიგურაა. სხვათა შორის, თავად რესპუბლიკის ჯერ ისევ პრეზიდენტი დიპლომატიურად საუბარს იშვიათად ახერხებდა. ჟარგონი, ძმაბიჭური მიმართვა ოპონენტებისადმი და არანორმალური ლექსიკაც კი ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან ბოლო ექვს წელიწადში ყირგიზეთისთვის ნორმად იქცა, რის გამოც სწორედ იმ ოპონენტებმა (ამ შემთხვევაში ლაპარაკია სოციალ-დემოკრატიული პარტია „ატა-მეკენის" წევრებზე) ერთხელ ყირგიზეთის გენერალურ პროკურატურას განცხადებით მიმართეს და პრეზიდენტის მოქმედებებისა და გამონათქვამების ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვეს. პარტიის წევრებმა სავსებით სამართლიანად შეიტანეს ეჭვი რესპუბლიკის ხელმძღვანელის ადეკვატურობაში, რომელმაც მათ გაერთიანებას, რომელიც, უნდა აღინიშნოს, კანონიერად და საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებს, პარლამენტში მოულოდნელად „მყრალი" უწოდა. სხვადასხვა დროს ატამბაევი ოპონენტებს „მორალურდ მახინჯებსაც", „ცილისმწამებლებსაც" და „ნათესავთა გვამების მჭამელ კანიბალებსაც" უწოდებდა. განაწყენებულმა პოლიტიკოსებმა სარჩელში ატამბაევის სხვა გამონათქვამებიც გაიხსენეს, რომელთა უმრავლესობის გამოქვეყნება არ ეგების, რაც, სხვათა შორის, სულაც არ უშლიდა ყირგიზეთის პრეზიდენტს ხელს სახალხოდ გაეჟღერებინა ისინი. ამ მიმართვის შემდეგ დაინიშნა ლინგვისტური ექსპერტიზა და ჩატარდა გამოძიება, რომელიც ადვილი მისახვედრია, ატამბაევის სასარგებლოდ დამთავრდა.

თუმცა მთავარი ის კი არ არის, თუ როგორ დამთავრდა ეს უცნაური ამბავი. მთავარი ის არის, რომ ქვეყანა მწვავედ განიცდის ეფექტური ეკონომიკური რეფორმების საჭიროებას, წამყვანი პოლიტიკური ძალები კი ამ დროს ამ ქვეყნის პრეზიდენტის აბსოლუტურად უაზრო, თუმცა კი განსაზღვრულად ემოციური გამონათქვამების ფარულ აზრებზე კამათობენ. და, რა თქმა უნდა, ეს სამწუხაროა, დამღუპველი რომ არა ვთქვათ, სახელმწიფოსთვის, რომელსაც ამდენი სხვა გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ არაშორსმჭვრეტელური გამონათქვამებით შიდა განხეთქილებების გამოწვევა იმ მცირერიცხოვან რამეთაგანია, რასაც ყირგიზეთის მომავალი პრეზიდენტი მართლაც წარმატებით ახერხებდა. ალმაზბეკ ატამბაევს არასდროს დაუმალავს, რომ ხალხს „ჩრდილოელებად" და „სამხრეთელებად" ჰყოფდა და, იყენებდა რა პირველების შიშითაც და მეორეებისაც, ვაითუ ხელისუფლებაში „ჩვენი" რეგიონების ხალხი ვერ მოვიდესო, იმდენი შეძლო, რომ, როგორც ნეიტრალურმა კანდიდატმა, 2011 წელს არჩევნებში საკუთარი გამარჯვება უზრუნველყო, თუმცა ატამბაევის მიერ ინსპირირებული შიდა წინააღმდეგობები ჯერ კიდევ მთელი უბედურება არ არის. **განვლილ ექვს წელიწადში ყირგიზეთი მისი წყალობით არაერთხელ აღმოჩნდა საგარეო პოლიტიკურ დაპირისპირებათა ეპიცენტრში.** როდესაც, მაგალითად, ატამბაევმა, რომელიც რუსეთს მარადიულ მეგობრობას ეფიცებოდა (აბა, რა იქნებოდა, ბიშკეკს ხომ მოსკოვის მრავალმილიონიანი ვალი აქვს), თურქეთში ჩამოგდებული რუსეთის თვითმფრინავის ინციდენტის შემდეგ, მოულოდნელად ანკარის მხარე დაიჭირა. ამასთან, მაშინ ატამბაევმა, ცენტრალური აზიის ლიდერთაგან ერთადერთმა, ერთ-ერთ მხარეს მიანიჭა უპირატესობა, როცა, კერძოდ, განაცხადა (მოგვყავს ციტატა): **„ყირგიზებისთვის თურქეთი გზის მანათობელი ვარსკვლავი, მშობელი დედაა, რომელიც გზას გვიჩვენებს"**. ამ სიტყვებმა გარკვეული მიზეზების გამო მარტო რუსები კი არა, თავად ყირგიზებიც სახტად დატოვა.

თუმცა, ამ ინციდენტს სულაც არ შეუშლია ხელი ყირგიზეთის პრეზიდენტისთვის რუსეთისა და თურქეთის კონფლიქტის დარეგულირების შემდეგ მოსკოვში ჩასულიყო და ღრმა რევერანსით გადაეხადა მადლობა პუტინისთვის ბიშკეკისთვის ვალის პატიების გამო და ხელი მოეწერა ქვეყნებს შორის მოკავშირეობის განმტკიცებისა და სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარაციაზე.

პოლიტიკრი ფლუგერის როლი, რომელიც მიმართულებას ქარის ყოველ წამობერვაზე იცვლის, ატამბაევმა ყაზახეთთან ურთიერთობაში გაითამაშა. ატამბაევმა, რომელიც მუდამ ქედს იხრიდა (სწორედ ეს გამოთქმაა ამ შემთხვევაში მორგებული) მეზობელი რესპუბლიკის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის წინაშე, გაცხარებული წინასაარჩევნო კამპანიის დროს, დაივიწყა რა ეკონომიური დახმარება, რომელსაც ყაზახეთი მილიონობით დოლარის სახით უწევდა მეზობელს, ოფიციალურ ასტანას მკვახე ბრალდებები წაუყენა. უადგილო ადგილას გაიხსენა კენესარახანის ისტორია, რომელიც ბრძოლაში ყირგიზი მანაპების ხელით დაიღუპა, რომლებმაც შემდეგში მისი თავი რუსეთის მეფეს მიართვეს საჩუქრად. ამასთან დაკავშირებით ალმაზბეკ ატამბაევის განცხადება იმის თაობაზე, რომ ყირგიზთა ქვეყანაში მახვილით მოსული თავს იქ დატოვებს, უკიდურესად უადგილოდ, არასასიკეთოდ და მთელი ყირგიზი ხალხის მაკომპრომეტირებლადაც კი გამოიყურება.

თუმცა ქვეყნის იმიჯი, თუ ყოველივე ზემოთ თქმულით ვიმსჯელებთ, მის მომავალ პრეზიდენტს ყოველთვის ნაკლებად აინტერესებდა, ისევე როგორც მისი ეკონომიკური კეთილდღეობა. ატამბაევის მმართველობის ექვსი წლის განმავლობაში ყირგიზეთის შიდა საერთო პროდუქცია პრაქტიკულად იმავე დონეზე დარჩა. ამ ფონზე იმ პოლიტიკოსის მკვახე გამონათქვამები, რომელიც სხვა ვერაფრით მოიწონებს თავს და ვერც ყურადღებას მიიპყრობს, სავსებით ლოგიკურად გამოიყურება. „შავი" პიარიც პიარია და განა მისი ავტორისთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მისი წასვლის შემდეგ ქვეყანას კიდევ მრავალი წლის განმავლობაში მოუწევს საკუთარი რეპუტაციიდან ამ პიარის ლაქების ჩამორეცხვა?

**ზაზა მეზვრიშვილი**

## ტრამპის რეიტინგი ეცემა

**დონალდ ტრამპის რეიტინგი კატასტროფულად დაეცა. სოციოლოგიური გამოკითხვა ვაშინგტონ პოსტმა და ეიბისიმ ერთობლივად ჩაატარეს. გამოკითხვის შედეგებით, თეთრი სახლის ლიდერის 9-თვიანი მოღვაწეობით კმაყოფილი რესპონდენტთა მხოლოდ 37 პროცენტია, 59 პროცენტი კი მის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს. გამოკითხულთა 55 პროცენტი თვლის, რომ ტრამპი წინასაარჩევნო დაპირებებს არ ასრულებს.**



## პოლონეთში სამედიცინო მიზნით მარიხუანას გაყიდიან

**ახალი კანონის თანახმად, კანაფის პრეპარატები აფთიაქებში საზღვარგარეთიდან იმპორტირებული მასალისგან, ექიმის რეცეპტის საფუძველზე მომზადდება. 15 ათასამდე აფთიაქიდან კანაფის პრეპარატის დამზადება დაახლოებით 90%-ში იქნება შესაძლებელი. ერთი გრამი სამედიცინო მარიხუანის ფასი დაახლოებით 13-16 დოლარი იქნება, ერთთვიანი თერაპიის ღირებულება კი 555 დოლარს შეადგენს.**

## საუდის არაბეთის პრინცს კორუფციისთვის ასამართლებენ

**საუდის არაბეთის პრინცი ალ-ვალიდ ალ საუდი და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი იბრაჰიმ ალ-ასაფდი სამართალდამცველებმა დააკავეს. მათ წინააღმდეგ გამოძიება კორუფციის ბრალდებით დაიწყო. მანამდე კორუფციასთან ბრძოლის უზენაესმა კომიტეტმა საუდის არაბეთის 11 პრინცის, ასევე, რამდენიმე ყოფილი და მოქმედი მინისტრის დაკავების სანქცია გასცა. ერთ-ერთ მათგანს იარაღის უკანონო გაყიდვაში ედება ბრალი.**

## ვიეტნამში სტიქიამ 50-მდე ადამიანი იმსხვერპლა

**ბოლო მონაცემებით, სტიქიას 50 ადამიანი ემსხვერპლა. არიან დაკარგულებიც. საგანგებო სიტუაციების სამსახურში აცხადებენ, რომ სტიქიის შედეგად 80 ათასამდე შენობა დაზიანდა. რთული ვითარებაა ავტომაგისტრალებზეც. სტიქიის გამო მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგადამცემი სისტემაც, რის გამოც ათობით ათას აბონენტს ელექტროენერგიის მიწოდება შეწყვეტილი აქვს.**

## მადრიდი ბრიუსელის გადაწყვეტილებას გაგებით ეკიდება

**ესპანეთის მთავრობა ბელგიის სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივს სცემს. ამის შესახებ ქვეყნის ვიცე-პრემიერმა სორაია საენს დე სანტამარიამ განაცხადა. მანამდე კატალონიის ჟენერალიტეტის ყოფილი პრეზიდენტი და მისი მთავრობის 4 წევრი ბელგიის სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა. კარლეს პუჩდემონსა და 4 ყოფილ მინისტრს ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილი დააწერინეს. კატალონიის ყოფილ მაღალჩინოსნებზე ესპანეთის სასამართლომ დაპატიმრების ორდერი გასულ კვირას გასცა, რის შემდეგაც პუჩდემონი და მისი 4 თანაგუნდელი ბელგიის პოლიციას ჩაბარდნენ.**

## წითელმა ჯვარმა 5 მილიონი დოლარის გაფლანგვა აღიარა

**წითელმა ჯვარმა აღიარა, რომ ებოლასთან ბრძოლისთვის განკუთვნილი 5 მილიონ დოლარზე მეტი თაღლითობისა და კორუფციის გამო დაიკარგა. „ბიბისის" ინფორმაციით, გამოძიების დროს, აუდიტორებმა აღმოაჩინეს, რომ ხდებოდა მედიკამენტების შესყიდვა მომატებული ფასებით, ხელფასები არარსებულ თანამშრომლებზე გაიცემოდა და ასევე ხდებოდა საბაჟო დოკუმენტაციის გაყალბება. გაფლანგული 5 მილიონი დოლარი დასავლეთ აფრიკაში ებოლას ეპიდემიასთან ბრძოლისთვის შეგროვდა.**



◉ ვიცოდეთ ჩვენი ხალხის ისტორია

# მითხარი, რა გვარი ხარ და გეტყვი, ვინ იყვნენ შენი წინაპრები!

## თანამდებობის პირები, ტიტულები და წოდებები ფეოდალურ საქართველოში

**მეითარი** – ობერ-გარდერობმაისტერი, ვახტანგ VI-ის ამალაში – ობერ-კამერგერი.

**მერიგე** – მოხელე, რომელიც ზედამხედველობდა სტუმართა განლაგებას მეფის სუფრაზე.

**მესტუმრე** – მოხელე, რომელიც ზედამხედველობდა მეფის სტუმრების დახვედრას.

**მესტუმრეთუხუცესი** – მესტუმრეთა მთავარი უფროსი.

**მეჭურჭლეთუხუცესი** – ფინანსთა მინისტრი.

**მინბაში, მანბაში** (თურქ.) – ქალაქის კომენდანტი.

**მისკარბაში (მირშეკარბაში)** – მეფის ნადირობის ხელმძღვანელი, მთავარი ეგერი, ობერ-ეგერმაისტერი (XI-XV საუკუნეებში მონადირეთუხუცესი ეწოდებოდა).

**მორდალი (მურდალი, მორდარი)** – ბეჭდის მცველი.

**მოურავი** – ქალაქის, პროვინციის გამგებელი, მამულის გამგე.

**მოურავთუხუცესი** – მოურავების უფროსი.

**მსაჯულთუხუცესი** – მთავარი მოსამართლე, XVII საუკუნიდან მდივანბეგად იწოდებოდა.

**მსახურთუხუცესი** – კარის მინისტრი და სამეფო დომენის მმართველი.

**მთავარი** – მსხვილი ოლქის მემკვიდრეობითი მმართველი ფეოდალი.

**მწიგნობარი** – შუა საუკუნეებში მდივანი, მწერალი, საბუთების შემდგენელი. XV საუკუნიდან მდივნებად იწოდებიან.

**მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი** – ერთიანი საქართველოს სამეფოში – პირველი მინისტრი (კანცლერი), დარბაზის წევრი, იმავდროულად ჭყონდიდის ეპისკოპოსი.

**ნაზირი** (არაბ.) – როსტომ მეფის დროიდან სასახლის მმართველი.

**ნაიბი** (არაბ.) – ნაცვალი, გამგებელი, სხვა წოდებათა ერთობლიობაში – მოადგილე, თანაშემწე.

**ნასახჩიბაში** – მეფის ჯალათთა უფროსი.



**ფარეშთუხუცესი** – მეფის კამენდინერთა უფროსი.

**სადროშო** (სიტყვიდან „დროშა“) – სამხედრო ოლქის ფეოდალური ლაშქარი; ეს ოლქები შეიქმნა XV საუკუნეში, შედგებოდა თავადთა რაზმებისგან, რომელთა სამფლობელოებიც ამ სამხედრო ოლქში შედიოდა. ქართლში იყო ოთხი სადროშო, რომლებსაც მემკვიდრეობით მეთაურობდნენ ოთხი ყველაზე გავლენიანი საგვარეულოს თავკაცები.

**სამთავრო** – მთავრის სამფლობელო.

**სარდალი (სარდარი)** – მხედართმთავარი (იგივეა, რაც სპასალარი), ვოევოდა, სადროშოს სამხედრო ოლქის მეთაური.

**სათავადო** – ფეოდალური მამული, რომელსაც თავადი ფლობდა, სათავადო სახელი.

**სახლთუხუცესი** – ერთ-ერთი ვეზირი, შუა საუკუნეების საქართველოში წარმართავდა სამეფო კარის საქმეებს, განაგებდა მეფის კარს და დომენს, კარის მინისტრი, ობერ-ჰოფმარშალი, უფლება ჰქონდა, დაემოწმებინა მეფის სიგელები. სახლთუხუცესები ჰყავდათ მსხვილ, როგორც საერო, ისე საეკლესიო ფეოდალებს.

**სპასალარი, სპასპეტი (სპასბეტი)** – მხედართმთავარი, XI-XV საუკუნეებში ერთიანი საქართველოს სამეფოში იყვნენ ცალკეული პროვინციების სპრსალარები და ამირსპასალარი, ტერმინი ცნობილია მოგვიანებითაც ირანსა და საქართველოში.

**სუფრაჯი** (სპარ.) – როსტომ მეფის დროს საქართველოში სასახლის მსახური, მესტუმრე. XVIII საუკუნის რუსულ დოკუმენტებში მოხსენიებულია აგრეთვე, როგორც ჰოფმარშალი.

**თავადი** (ქართული „თავი“-დან) – თავადური საგვარეულოს მეთაური, „დიდებულ აზნაურთა“ კლასის უმაღლესი ფენის წარმომადგენელი, აზნაურთა უმაღლესი ჯგუფიდან XV საუკუნეში ჩამოყალიბდა თავადთა ცალკე წოდება, რომელიც მოიცავდა აგრეთვე მთავრებსა და ერისთავებს.

**თავადები** – მეფის ვასალები დაჯგუფდნენ სამ ხარიხად, რომელთა შორისაც უმაღლესს შეადგენდნენ დიდებულები, თავადად ითვლებოდა სათავადოს მეთაური, ხოლო გვარის უმცროსი წევრები **თავადიშვილებად** იწოდებოდნენ.

**ხევისთავი** – მეთაური, ხევის (თემის, სოფლის, ხევის) გამგებელი.

**ხევისუფალი** – ხევის გამგებელი, ემორჩილებოდა ერისთავს.

**ციხისთავი** – ციხე-სიმაგრის დაცვის უფროსი, გარნიზონის კომენდანტი.

**ჩუხჩარეხი** – მეფის პირადი დაცვის უფროსი.

**ეშიკაგაბაში, ეშიკ-აგას-ბაში** (თურქ.) – როსტომ მეფის დროიდან შეცვალა მანდატურთუხუცესი, აღმასრულებელი აპარატის ხელმძღვანელი, თვალყურს ადევნებდა წესრიგს სასახლეში, ობერ-ცერემონიმაისტერი; XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ეს წოდება მაგალითად რუსულად ითარგმნებოდა როგორც გენერალ-ადიუტანტი.

**ერისთავი** – მსხვილი (ხშირად სასაზღვრო) ოლქის, პროვინციის განმკარგავი.

**იუზბაში** (თურქ.) – ასეულის უფროსი, ასმეთაური.

მოამზადა
**ალეკო ასლანიშვილმა**


# განცხადება

I. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს ღია კონკურსს სტომატოლოგიის, ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, მედიცინის (ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამა) ფაკულტეტებზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ დეპარტამენტებში:

**მედიკო-ბიოლოგიური დეპარტამენტი :**
პროფესორი - 3
ასოცირებული პროფესორი - 5
ასისტენტი -1
**სტომატოლოგიის დეპარტამენტი:**
პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 4
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი:**
პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 2
**კლინიკურ დისციპლინათა დეპარტამენტი:**
პროფესორი - 6
ასოცირებული პროფესორი - 8
ასისტენტ-პროფესორი -4
**მორფოლოგიის დეპარტამენტი:**
პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 3
ასისტენტ-პროფესორი -3
ასისტენტი -2
**პათოლოგიის დეპარტამენტი:**
პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 2
ასისტენტ-პროფესორი -1
**მენეჯმენტის დეპარტამენტი:**
პროფესორი - 3
ასოცირებული პროფესორი - 3
ასისტენტ-პროფესორი -2
**ეკონომიკისა და სამეწარმეო საქმიანობის დეპარტამენტი:**
პროფესორი - 2
ასოცირებული პროფესორი - 3
**ტექნიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი:**
პროფესორი - 2
ასოცირებული პროფესორი - 2
ასისტენტ-პროფესორი -1
**ფსიქო-სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი:**
პროფესორი - 2
ასოცირებული პროფესორი - 1
**ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტი:**
პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 3
ასისტენტი -1
**ჰიგიენის დეპარტამენტი:**
პროფესორი - 1
ასოცირებული პროფესორი - 1

II. ა) პროფესორის თანამდებობაზე 7 (შვიდი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ექვსი წლის გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 7 (შვიდი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 3 (სამი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.

დ) ასისტენტის თანამდებობაზე 3 (სამი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი (პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში).

III. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

დ) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ე) პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) CV (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

ზ) სილაბუსი (ასისტენტის თანამდებობაზე სილაბუსის წარმოდგენა არ მოითხოვება);

თ) ორი ფოტოსურათი (ზომით 3X4);

ი) ბოლო 7 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია,

სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა.

კ) მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის (B2 დონე) ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან უნივერსიტეტში გაიაროს ტესტირება ინგლისურ ენაში.

IV. აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა წინასწარ უნდა განაცხადოს თანხმობა უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ კი უნდა მოახდინოს შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედთან აფილირების შესახებ წერილობითი შეთანხმება.

V. მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტმა, რომელიც ვერ წარმოადგენს ინგლისური ენის (B2 დონე) ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, უნდა გაიაროს ტესტირება ინგლისურ ენაში.

VI . კონკურსი გამოცხადდეს 2017 წლის 07 ნოემბერს.

VII. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 11 დეკემბრიდან 2017 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით, ყოველ სამუშაო დღეს 10-დან 17 საათამდე;

VIII. ტესტირება ინგლისურ ენაში ჩატარდეს 2017 წლის 27 დეკემბერს (მხოლოდ V პუნქტის თანახმად).

IX. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2018 წლის 04 იანვარს.

X. კონკურსის შედეგების გასაჩივრების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 05 იანვრის 17 საათამდე; 2018 წლის 08-09 იანვარი დაეთმოს სააპელაციო კომისიის მუშაობას.

XI. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა მოხდება რეიტინგული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით დაგროვებული ქულების შესაბამისად.

1. პედაგოგიური სტაჟის მქონე პედაგოგებს მუშაობის წლების რაოდენობის შესაბამისი ქულა.

2. სამეცნიერო სტატია (ბოლო 7 წლის განმავლობაში): რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებულ ყოველ სტატიაზე _ 3 ქულა.

3. მონოგრაფია შესაბამის დარგში (ბოლო 7 წლის განმავლობაში) -20 ქულა;

4. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო 7 წლის განმავლობაში):

ა) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა - 10 ქ.

ბ) რეგიონულ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა -3 ქ.

5. სილაბუსის შესაბამისობა (თემატური, სწავლის შედეგები, ფორმატი) – 10ქ.

ვებ-გვერდი: www.geosis.edu.ge
ელ.ფოსტა: info@geosis.edu.ge
ტელ.: 2 75 25 20

ძალოსნობა

# საქართველო მსოფლიოზე მძიმეა

**ძალოსანთა საქართველოს ჩემპიონატში, რომელსაც დუშეთმა უმასპინძლა, მძიმე წონაში (+105 კგ) ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ლაშა ტალახაძემ 220 კილო აიტაცა და წლეულს ევროპის ჩემპიონატზე დამყარებული საკუთარი მსოფლიოს რეკორდი 3 კილოგრამით გააუმჯობესა.**



მერე ჩვენმა გოლიათმა 154 კილოგრამი აკრა და ორჭიდში 474 კილოგრამი მოაგროვა, რაც რიოში დამყარებულ მისსავე მსოფლიოს რეკორდზე კილოგრამით მეტია, თუმცა, ორივე მაჩვენებელი მხოლოდ საქართველოს მიღწევად რჩება. რადგან შეჯიბრებას უცხოელი არბიტრები არ ესწრებოდნენ, ტალახაძის შედეგები მსოფლიო რეკორდებად არ ჩაითვლება. ამის შესაძლებლობა მას წლეულს 5 დეკემბერს მიეცემა, როცა ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს.

**ლექსო ცინცაძე**

წყალბურთი

# ევროპამდე ისრაელია გასავლელი



**2018 წლის ივლისში ბარსელონა წყალბურთელ ქალ-ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს, სადაც მედლებისთვის 16 ნაკრები იბრძოლებს.** წინა ჩემპიონატის შედეგებით იქ თამაშის უფლება უკვე აქვთ სერბეთს, მონტენეგროს, უნგრეთს, საბერძნეთს, ესპანეთს, იტალიას, ხორვატეთსა და რუსეთს. დანარჩენი რვა საგზურისთვის 23 ქვეყანა ეცილებოდა ერთმანეთს. კატალონიის დედაქალაქში გამგზავრების მსურველთა რაოდენობა საკვალიფიკაციო ტურნირების შემდეგ 16-მდე შემცირდა. გაისად 24 თებერვალსა და 3 მარტს მათ შორის პლეი ოფის შეხვედრები გაიმართება და ორი ორთაბრძოლის ჯამში გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლებ მოიპოვებენ. წილისყრით გუნდები ასე დაწყვილდნენ: **საქართველო-ისრაელი, საფრანგეთი-შვეიცარია, რუმინეთი-ჩეხეთი, პოლონეთი-გერმანია, ჰოლანდია-ლიტვა, პორტუგალია-სლოვაკეთი, ბელარუსი-მალტა, უკრაინა-თურქეთი. 24 თებერვალს პირველად დასახელებული გუნდები შინ ითამაშებენ.**

**ლაშა დიდია**

ჭიდაობა

# უხვი ნადავლით – ერევნიდან

**სომხეთის დედაქალაქში დამთავრდა ჭაბუკ ფალავანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა (მწვრთნელები გიორგი კვინიკაძე, ალექსანდრე პატარქალაშვილი, ლაშა ქეთიშვილი და შალვა მუზიაშვილი) 11 მედალი მოიპოვა: 4 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“ და 4 „ბრინჯაო“.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი გეგელაშვილი (51 კგ), დავით აბდალაძე (55 კგ), გიორგი ჩანქსელიანი (80 კგ) და სოლომონ მანაშვილი (100 კგ), რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს. მსგავს წარმატებამდე თითო გამარჯვება დააკლდათ ნიკა ბერუაშვილს (51 კგ), ლუკა მარიამიძესა (71 კგ) და გიორგი ნებურიშვილს (80 კგ), რომლებიც მეორე ადგილებით დაკმაყოფილდნენ, ხოლო ლექსო მიქელაძემ (48 კგ), გიორგი გელაშვილმა (63 კგ), ბაგრატ გაგნიძემ (71 კგ) და ნიკოლოზ ბარაბაძემ (110 კგ) ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

**გივი გაგუა**



კალათბურთი






# ბიჭები ბდღვნიან ყველაფერს!

**დრამატულად განვითარდა მოვლენები ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში, სადაც ერთმანეთს ქართველ ლეგიონერთა კლუბები მალაგაში დაუპირისპირდნენ.**

თორნიკე შენგელიამ „ბასკონიას“ 15 ქულასთან ერთად 5 მოხსნა შეაშველა, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სტუმართა გამარჯვებაში – 73:72. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ ვიტორიელებმა პირველი თამაში მოიგეს ევროლიგაშიც – „პანათინაიკოსს“ 85:84 სძლიეს, ასე რომ, ეტყობა, ბასკებმა სეზონის სასტარტო კრიზისი დაძლიეს და ნებისმიერ მეტოქეს დიდ ბრძოლას გაუმართავენ.

აღსანიშნავია, რომ ასევე ღირსეულად გამოიყურებოდა მასპინძელთა ძირითადი ცენტრი გიორგი შერმადინი, რომელმაც „უნიკახას“ ორმაგი დუბლით ულიდერა – 10 ქულა, 10 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# აქეთურ – იქითური

**ეროვნული ლიგა. XXXIII ტური. „დინამო“ – „ბათუმი“ 4:0, „ტორპედო“ – „სამტრედია“ 2:0, „საბურთალო“ – „ჩიხურა“ 1:2, „ლოკომოტივი“ – „შუქურა“ 2:2, „კოლხეთი“ – „დილა“ 1:0.**

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“ – 71, „ტორპედო“ – 67, „სამტრედია“ – 61, „საბურთალო“, „ლოკომოტივი“ – 53-53, „ჩიხურა“ – 49, „დილა“ – 37, „ბათუმი“ – 33, „კოლხეთი“ – 23, „შუქურა“ – 15 ქულა.

**ბომბარდირი:** სიხარულიძე („ლოკომოტივი“) – 25 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჩიხურა“ – „ტორპედო“ (17 ნოემბერი), „შუქურა“ – „დინამო“, „სამტრედია“ – „კოლხეთი“, „ბათუმი“ – „საბურთალო“, „დილა“ – „ლოკომოტივი“ (18 ნოემბერი).

---

**იტალია.** „კიევო“ – „ნაპოლი“ 0:0, „იუვენტუსი“ – „ბენევენტო“ 2:1, „ინტერი“ – „ტორინო“ 1:1, „ფიორენტინა“ – „რომა“ 2:4, „სასუოლო“ – „მილანი“ 0:2.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „სევილია“ 2:1, „ვალენსია“ – „ლეგანესი“ 3:0, „დეპორტივო“ – „ატლეტიკო“ 0:1, „რეალი“ – „ლას პალმასი“ 3:0, „ვილიარეალი“ – „მალაგა“ 2:0.

**ინგლისი.** „სიტი“ – „არსენალი“ 3:1, „ჩელსი“ – „მანჩესტერი“ 1:0, „ვესტ ჰემი“ – „ლივერპული“ 1:4, „ტოტენჰემი“ – „კრისტალ პალასი“ 1:0.



**გერმანია.** „დორტმუნდი“ – „ბაიერნი“ 1:3, „ლაიფციგი“ – „ჰანოვერი“ 2:1, „ფრაიბურგი“ – „შალკე“ 0:1, „კიოლნი“ – „ჰოფენჰაიმი“ 0:3.

**საფრანგეთი.** „ანჟერი“ – „პსჟ“ 0:5, „მონაკო“ – „გენგამი“ 6:0, „სენტ ეტიენი“ – „ლიონი“ 0:5, „მარსელი“ – „კაენი“ 5:0.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# პამპიტას ამბიციები მოსძალებია

**ჩვენ ადრეც გიამბეთ არგენტინელი მსახიობისა და ფოტომოდელის პამპიტას შესახებ, რომელიც თავისი ამ სასცენო ფსევდონიმის უკან კოხტად იმალება და საყვარელმრავლობითაც გამოირჩევა, მასთან მოხვანცალე მამრებს შორის კი არაერთი ცნობილი თანამემამულე სპორტსმენიც ყოფილა.**

პამპიტა უკანასკნელი ერთი წელია ძველებურად აქტიური აღარაა და ფერადი ჟურნალების ყდებსაც უწინდელი ინტენსივობით აღარ ამშვენებს,. თუმცა, როგორც „ვერცხლის ქვეყნის“ ბულვარულმა მედიამ შეიტყო, მას ამბიციები მოსძალებია და არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარი კინოსტუდიის გახსნას აპირებს.



ახალი კინოსტუდია „მაგდანას ლურჯას“ რომ არ გადაიღებს და უმთავრესად ეროტიკული (თუ უფრო უარესი არა) ჟანრის ფილმებზე იქნება ორიენტირებული, ნებისმიერი ამ ქალის შემცნობი ადამიანი მიხვდება და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ზურგის ქარი ვუსურვოთ ტიტლიკანობის მოყვარეობაში.

**როსტომ რაჭველიშვილი**

## სანთელი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი სახალხო პოეტის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, საზოგადო მოღვაწისა და უკეთილშობილესი ადამიანის

**ჯანსუღ ჩარკვიანის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ლუიზა, როინ მეტრეველები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

ნაპოლეონ ქარქაშაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი პოეტის, ღირსეული მამულიშვილის

**ჯანსუღ ჩარკვიანის**

გარდაცვალების გამო.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

---



თენგიზ შუბლაძე, ზურა ქარაბაკი, გეგუ მუშკუდიანი, ბუსკა გეწაძე, ჯემალ უგულავა, თენგიზ კალანდაძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, კეთილშობილი, ღირსეული მამულიშვილის

**იოსებ (ჯიმი) ბროძელის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

## ხსოვნა

# ერთგულებისა და კაცობის ეტალონი



კიდევ ერთ ნაღდ თბილისელსა და თბილისზე მოტრფიალე კაცს ვემშვიდობებით, საძმოში გამორჩეულს, ლხინსა და ჭირში გვერდით მდგომს, ნამდვილი ქართული ტრადიციების მატარებელსა და ულამაზესი ოჯახის თავკაცს. შეიძლება, ეს ეპითეტები ეცოტაოს კიდეც მათ, ვინც ჯიმი ბროძელს იცობდა, მეგობრობდა, თავისიანად თვლიდა და მისი ეიმედებოდა. ერუდირებული, ინტელიგენტი ვაჟკაცი, განათლების სფეროს თვალსაჩინო მუშაკი, პროფესიონალი, მან მართლაც შრომითა და გარჯით დაიმკვიდრა საზოგადოებაში ის სახელი, რომლითაც ვამაყობთ მისი მეგობრები და ახლობლები. მშვიდობით, ძვირფასო ადამიანო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

**გურამ ახრახაძე, კიჭა არველაძე, ივა ბერაძე, ჯუმბერ ბერაძე, ოთარ ბრეგვაძე, ვოვა გურგენიძე, ვახტანგ ვეფხვაძე, სეფე ვარდოსანიძე, ვახო თუთაშვილი, გია ლოლაძე, თამაზ კუჭავა, ვოვა კერესელიძე, გივი ნაცვლიშვილი, ალეკო ოღლიშვილი, ომარ სიამაშვილი, თენგიზ ქოიავა, დემურ ყიფიანი, ჯიმი ყიფიანი, თემურ ხუბულური, ლაური ჯანაშია.**

---

სვეტლანა, შალვა მგალობლიშვილები ოჯახით თანაუგრძნობენ მადლენა ბერიას შვილის

**ბუბა ქირიას**

გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

# მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და კოლეგავ!



საქართველოს ენერგეტიკოსებმა დასანანი დანაკლისი განიცადეს — გარდაიცვალა **დავით გუგუშვილი**, ადამიანი სიკეთისა და პატიოსნების განსახიერება, თავისი საქმის შესანიშნავი სპეციალისტი, დიდი პატრიოტი და ქართული ოჯახის თავკაცი, სამაგალითო მეუღლე, მამა, ბაბუა და ყველა მოყვასისადმი პირველი ხელის გამმართველი.

დავით გუგუშვილი დაიბადა 1948 წელს თბილისში. 1966 წელს დაამთავრა თბილისის მე-14 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. 1971 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობისა და ელექტროტექნიკის ფაკულტეტი ელექტრონული ტექნიკის ინჟინრის სპეციალობით. 1971 წლიდან ბატონმა დავითმა მუშაობა დაიწყო მცირე სიმძლავრის ელექტრონული მანქანების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (მეტსი), სადაც მუშაობდა რიგითი ინჟინრის, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ჯგუფის უფროსის, წამყვანი კონსტრუქტორის თანამდებობებზე. ინსტიტუტში საქმიანობისას ბატონ დავითს გამოქვეყნებული აქვს 10 სამეცნიერო შრომა, არის 5 გამოგონების ავტორი, რომლებიც დაინერგა ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში და ეხება მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების წარმოების საკითხებს.

1993 წლიდან ბატონი დავითი მუშაობას აგრძელებს „საქმთავარენერგოს" საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრში ტექნიკური მომსახურების განყოფილების გამგედ. 2000 წლიდან იგი მუშაობს საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის აპარატში საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელად. მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, საპატიო სიგელები და მადლობები. განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ბატონ დავითის უაღრესად კეთილშობილური ადამიანური თვისებები, თავმდაბლობა და აგრეთვე საქმისადმი დიდი პასუხისმგებლური დამოკიდებულება.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ჩვენო საამაყო კოლეგავ — დაე მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა!

გამოსვენება 7 XI, 14 სთ. (მის: ც. დადიანის 323, ბ.34. კინო „საქართველოს" მოპირდაპირე კორპუსი).

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი**

**საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი**

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი რატიანის მეუღლის

**ლიანა ურატაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ბათუმში ავარიის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა

**ბათუმში**, ასათიანის ქუჩაზე ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და მოპედი შეეჯახა. შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა. ექიმების განცხადებით, დაშავებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. თვითმხილველებმა ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.




# რუსთავში ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

**რუსთავში, მეგობრობის გამზირზე ახალგაზრდა მამაკაცი ქუჩაში გარდაცვლილი იპოვეს. პირველადი მონაცემებით, გარდაცვლილს სხეულზე ძალადობის კვალი არ აღენიშნება.**

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

გარდაცვალების მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს.

## მსოფლიო სკანდალი

# ოფშორული საიდუმლო აღარ არსებობს

**ჟურნალისტ-გამომძიებლების საერთაშორისო კონსორციუმის „პანამა პეიპერსის" მიერ 13,4 მილიონი დოკუმენტი იქნა შესწავლილი. სულ ჟურნალისტურ გამოძიებაში 67 ქვეყნის 96 მედიასაშუალების წარმომადგენელი — 382 ჟურნალისტი მონაწილეობდა. „პანამა პეიპერსის" დოკუმენტების შესწავლას უკვე ეწოდა „პანდორას ყუთის" ეფექტი, რომლის მიხედვითაც, როგორც დასავლური მედია წერს, ოფშორული კომპანიების საიდუმლო აღარ არსებობს. კაიმანის, ბერმუდის, გენსის, ბრიტანეთის ვირჯინიის და სხვა ეგზოტიკური კუნძულების კომპანიების მფლობელები და მეწილეები მსოფლიო ლიდერები და ცნობილი ადამიანები არიან. მათ შორის: დიდი ბრიტანეთის დედოფალი, უკრაინის პრეზიდენტი, იორდანიის დედოფალი, მადონა, ევროპაში ნატოს შტაბების ყოფილი ხელმძღვანელი, რუსეთისა და ამერიკის მთავრობის წევრები, ცნობილი რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი. ჩამოთვლილთაგან ყველა იურიდიული კომპანია Mossack Fonseca-ს კლიენტია. ამჯერად კი საუბარია იურიდიულ კომპანიის Appleby-ის კლიენტურაზე. კომპანია ბერმუდის კუნძულებზეა რეგისტრირებული. ახლად გაჟონილ ინფორმაციას „სამოთხის კუნძლების" ფაილი ეწოდა. კომპანია, რომელიც 1898 წელს არის დაარსებული, ერთ-ერთ ყველაზე „სუფთა" კომპანიად ითვლება. თუ კომპანია Mossack Fonseca-ს ძირითადი კლიენტურა მსოფლიოს მაღალჩინოსნები და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები იყვნენ, Appleby მომსახურებას უწევდა „ნაიკს", „ეფლის", ფეისბუქს", და სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს, მაგალითად, დედოფალ ელიზაბედ მეორეს. Appleby-ის მომსახურებით სარგებლობენ პუტინის უახლოესი მეგობრები და გარემოცვის წევრები — ძმები როტენბერგები, ოლეგ ბერიპასკა, ოლეგ ტიხონოვი, „როსნეფტის" ხელმძღვანელის იგორ სეჩინის ყოფილი მეუღლე მარინა სეჩინა. ასევე დუმის დეპუტატები ალექსეი ეზუბოვი და ვლადიმერ ებოცკო. კომპანია უზრუნველყოფდა კლიენტებისთვის ინვესტიციების ჩადებას რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში.**




ძიების მიხედვით დადგინდა, რომ კომპანიის მომსახურებით სარგებლობდა ლანკასტერის საჰერცოგო, რომელიც დედოფალ ელისაბედის შემოსავლებს განკარგავს. ფონდმა ფული ბრიტანეთში სკანდალურ ფინანსურ კომპანია BrightHouse-ში დააბანდა, რომლის წლიური განაკვეთი 100%-ია. Appleby-ის მომსახურებით სარგებლობდა იორდანიის დედოფალი ნურ ალ ჰუსეინიც.

„სამოთხის კუნძულების" ფაილებში მოხვდნენ პოპვარსკვლავი მადონა და ბონო. მათ მალტაზე რეგისტრირებული კომპანიის მეშვეობით, ფული ლიტვაში, სავაჭრო ცენტრში დააბანდეს. ჯერჯერობით მედიისთვის „სამოთხის კუნძულების" ყველა ფაილი ხელმისაწვდომი არ არის. სავარაუდოდ, სკანდალურ სიაში მსოფლიოს სხვა ცნობილი ადამიანები და ლიდერებიც მოხვდებიან.

◉ პარალელები

## განაწესი ახალ მერს!

არა, არა მწამს დიდად მე სხვისა,
როცა ფინტები მახსოვს მესხისა,
მაგრამ „მილანელს“, მზრუნველს კალაზე,
იმედით ვხვდები კახი კალაძეს
და მას (არც პელეს, არც გაეტანოს!)
ვთხოვ, ავტოგოლი არ გაეტანოს,
რადგან ფეხბურთი სადღაც მერეა,
როცა მთავარი არის მერია!

## დეპუტატია? იურისტია?

**ფიქრი, რომელიც დაბადა**
**დეპუტატის სატელევიზიო სკანდალმა**

იყო გავროში ცალი კალოშით
და ვინც ჩააგდო ქერის ხაროში,
მასზე ლაყბობას მოჰყვა არევა
და ნეპოტიზმის აღიარება!
მერე რა, დღეს თუ თვალზე ბისტი აქვს,
დეპუტატია, იურისტია!

**ალექსანდრე შენგელია**

◉ რეპლიკა

## ნაციონალებო, მალე გამოაქვეყნეთ გინების მანიფესტი!



**ახლახან მაიკლ სვიფტმა გამოაქვეყნა „მანიფესტი ერთნაირსქესიანთა ქორწინების შესახებ“ და მიესალმა ასეთი ქორწინების კანონით აღიარებას... ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუ მალე იხილავთ ნაციონალების მიერ გამოქვეყნებულ გინების მანიფესტს.**

ენა არც თუ ადვილად მოსათვინიერებელიაო, ბრძანებდა იაკობ მოციქული. „ენა დატენილი იარაღია, მოლაპარაკე ისვრის“, – აღნიშნავდა პარნელი. მართალია, ამბობენ, ენას ძვალი არა აქვსო, მაგრამ გაუთავებელი გინება ენას ძვლად აქცევს.

ნაციონალებო, არ გეშინიათ, რომ ენა ძვალივით ყელში გაგეჩხიროთ? მაშინ როგორღა ააგორებთ გინების კასკადებს! მალე, მალე გამოაქვეყნეთ გინების მანიფესტი!

**ლონდა მდივანი**

## დიდი ბრიტანეთის დედოფლის დამალული 13 მილიონი

**„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის დედოფალს ელისაბედ მეორეს კაიმანისა და ბერმუდის კუნძულების ბანკებში, ოფშორულ ზონაში 13 მილიონი ფუნტი სტერლინგი აქვს გადანახული.**



„ბი-ბი-სიმ“ეს დოკუმენტები ჟურნალისტიკის საერთაშორისო კონსორციუმზე წარადგინა.

ამ გამოძიებაზე დაყრდნობით აღმოჩნდა, რომ კიდევ ბევრ პოლიტიკოსს აქვს ოფშორში სოლიდური თანხა გადამალული.

მათ შორისაა კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრიუდო, აშშ-ის პრეზიდენტის აპარატის წევრები და მსხვილი კომპანიების ტოპ-მენეჯერები.




## ირანელ გოგონას „მის სამყაროზე“ გასვლის უფლება მისცეს

**45-წლიანი პაუზის შემდეგ, მკაცრი ისლამური ტრადიციების მქონე ქვეყანამ ირანმა 27 წლის ირანელ ლამაზმანს სარა აიდანს „მის სამყაროზე“ გამოსვლის ნება დართო. იგი თავის ქვეყანაში გამართულ სილამაზის კონკურსზე ვიცე-მისი გახდა.**

ბოლოს ირანის წარმომადგენელმა მსგავს კონკურსში 1972 წელს მიიღო მონაწილეობა.

წელს „მის სამყარო“ 27 ნოემბერს ლას-ვეგასში ჩატარდება.

**მოამზადა**
**რუსუდან ქოზულიამ**

## გასაცინებელი ა(მ)ბები

### მამები და შვილები

**შვილი:** – მამიკო, სკოლაში თუ დადიოდი, პატარა რომ იყავი?

**მამა:** – რასაკვირველია, თანაც გაკვეთილი არასდროს გამიცდენია.

**შვილი:** – დედიკო, ხედავ! აზრი არა აქვს სკოლაში დროის ხარჯვას.

### მარცხი

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა მეგობრები პირველად მიიპატიჟა.

– ძალიან მინდა, რომ შთაბეჭდილება მოვახდინოთ სტუმრებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა ფული გვაქვს. თუმცა, ვიცი, რაც უნდა ვქნათ.

– რა?

– ყვავილოვანი კომბოსტოს შეჭამანდი დადგი, სტუმრებს კი ვუთხრათ, რომ მეორე კერძად შემწვარ ინდაურს მივირთმევთ.

– მერე მაგით ვითომ რა გამოვა?

– ნახავ, რაც გამოვა. შენ უცებ წამოხტები და სამზარეულოში გაიქცევი, მე შეგეკითხები, რა მოხდა-მეთქი? – შენ კი შეწუხებული გამომძახებ, რა მოხდა და, ინდაური დაიწვაო და ინდაურის მაგივრად ყვავილოვანი კომბოსტოს შეჭამანდს შემოიტან.

მართლაც, როცა სტუმრები მაგიდას მიუსხდნენ და საუბარი გააბეს, ახალგაზრდა ცოლი წამოხტა და სამზარეულოში გავარდა, ქმარმა ხმა დააწია:

– რა მოხდა, რამე ხომ არ დაიწვა?

– მეტი რა უნდა მომხდარიყო, – გამოეპასუხა ცოლი, – კომბოსტოს შეჭამანდი სულ გადმოსულა...

### თადარიგი

მავანმა ახალგაზრდა კაცმა ოთახი იქირავა.

– იცი რა, – უთხრა მან დიასახლისს, – ჩემი წინა დიასახლისი სულ სისხლიან ცრემლებს აფრქვევდა, რომ წამოვედი.

– მე სატირლად არ გავიხდი საქმეს, ქირას წინასწარ ვიღებ.

### მსხვერპლი

ექიმ-ფსიქიატრთან პაციენტი მიდის.

– ექიმო, გეხვეწებით, რამე მიშველეთ.

– მაინც რას უჩივით?

– მთელი დღე ჩემს თავს ველაპარაკები.

– ეგ არც ისე საშიშია...

– ეჰ, ექიმო, რომ იცოდეთ, რა აბეზარი ვინმე ვარ...

### არანორმალური

ამოუცნობი დამხრჩვალის ცხედარი მორგში მიასვენეს. მავანი მოქალაქე ითხოვს, მაჩვენეთო.

– არა, ეს მე არა ვარ, – ამბობს და მიდის.

ამ ამბავს დარაჯი მორგის გამგეს უყვება და გამგე წამოიძახებს:

– ეგეთი ტიპი არ უნდა გაგეშვათ! პოლიციაში უნდა დაგერეკათ, ეტყობა, არანორმალური იყო.

– არანორმალური?

– რასაკვირველია! კაცი, რომელიც ამბობს, ეს დამხრჩვალი მე არა ვარო, როგორ შეიძლება ნორმალური იყოს?!

– არა, ბატონო, – უპასუხებს დარაჯი, – დამხრჩვალი სრულებით არა ჰგავს იმ მოქალაქეს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6284; ევრო - 3.0610;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4351;
100 რუბლი - 4.4819; თურქული ლირა - 0.6868;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5486;
1000 სომხური დრამი - 5.4362.

**ამინდი 7 ნოემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +3, | დღე +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -2, | დღე +19 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +6, | დღე +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +3, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე +6, | დღე +20 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge